პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 224 (20565) ხუთშაბათი, 28 სექტემბერი, 1989 წელი. ფასი 3 კაპ.

დღის ნომერში:

მოსკოვში, კრემლში, მუშაობას განაგრძობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია („სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია“).

თადარიგში ითხოვენ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც გაიარეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის დადგენილი ვადა; იწყება ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევა („სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება № 341“);

ცვლილება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში — მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებების პირდაპირი ან ფარული დარღვევისათვის (მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ჩუქება, იჯარა, მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება ან გაცვლა და სხვ.). სასჯელი გამკაცრდა („საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება“).

I-გვ.

9 აპრილს ქ. თბილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და [illegible] ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულის, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს—დაასკვნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისია („ერის სამსჯავროზე...“).

მე-2, მე-3, მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

25 სექტემბერს კრემლში კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომით მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიამ. დილის სხდომის თავმჯდომარემ **მ. ს. გორბაჩოვმა** განაცხადა, რომ რეგისტრაციაში გატარდა 470 დეპუტატი, და კმაყოფილება გამოთქვა პარლამენტართა აქტიურობის გამო.

ვხსნი რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას, თქვა მან, მოგესალმებით, პატივცემულო ამხანაგებო, და მინდა გამოვთქვა ზოგიერთი მოსაზრება.

უწინარესად ჩვენი სესიის მუშაობას უნდა მივუდგეთ საზოგადოებასა და ქვეყანაში შექმნილი რეალური სიტუაციის კონტექსტით. ვფიქრობ, ახლა საჭირო არ არის მისი ვრცელი დახასიათება. არა მარტო იმიტომ, რომ ეს ისედაც კარგად იცით. ბოლო დღეებში, კერძოდ უშუალოდ უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის წინ, მე უკვე მომიხდა ამაზე საუბარი, და თანაც არაერთხელ.

სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ ძალაში რჩება შეფასებანი, რომლებიც უმაღლესმა საბჭომ მისცა ქვეყანაში შექმნილ სიტუაციას პირველი სესიის მუშაობის ბოლო ეტაპზე, უფრო მეტიც, ჩვენ შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ იგი რამდენადმე კიდევაც გართულდა.

ჩვენი მუშაობის განახლების ზღურბლზე აქტიურად განიხილებოდა შემოდგომის სესიის თავისებურებებისა და დანიშნულების საკითხი. ეს თემა წინა პლანზე ამოჩნდა თვით სახალხო დეპუტატთა წრეში, აგრეთვე პრესაში, საზოგადოებაში დისკუსიების დროს. თუ უყურადღებოდ დავტოვებთ უკიდურეს შეხედულებებს, რომლებშიც ძალიან ცოტაა შინაარსი და მეტად იგრძნობა მკვახე ტონი, ხშირად კი უბრალოდ უპატივცემულო დამოკიდებულება უმაღლესი საბჭოსადმი, უნდა აღვნიშნო, რომ საზოგადოებაში ახლანდელი სესიის მუშაობას ანიჭებენ დიდ, ხოლო რიგ შემთხვევებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მისგან მოელიან არსებითს შედეგებს, პასუხს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, დიდ გადაწყვეტილებათა მიღებას, რომლებზეც ლაპარაკი იყო გაზაფხულის სესიის საბოლოო ეტაპზე. ასეთი მოლოდინი დასაბუთებულია, იგი გამომდინარეობს სიტუაციიდან, რომელზეც ვილაპარაკე, საჭიროების შემთხვევაში უნდა მივიღოთ გადაუდებელი ღონისძიებანი როგორც სოციალური დაძაბულობის მოსახსნელად, ასევე იმისათვის, რომ გაბედულად წავიწიოთ წინ გარდაქმნის ყველა მიმართულებით, და უწინარესად სოციალურ-ეკონომიკურ სფეროში.

ჩემი აზრით, და ასეთი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უკლებლივ ყველა წევრის აზრიც, რომელიც ახლანდელი სესიის საკითხებს განიხილავდა, რომ შემოტანილი დღის წესრიგი შესაძლებლობას გვაძლევს ახლავე შევუდგეთ სწორედ იმ ღონისძიებათა შემუშავებას, რომლებსაც საზოგადოება ელის. არც დღის წესრიგისათვის შერჩეული საკითხები და არც მათი თანამიმდევრობა არ არის შემთხვევითი. ამას დაწვრილებით მოგახსენებთ ამხანაგი ლუკიანოვი, რომელიც დაასაბუთებს დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის დაყენებას. მე კი მინდა, თქვენი ყურადღება მივაპყრო შემდეგს.

გამოვყოფ, უწინარესად, ახლანდელი სესიის მუშაობის ისეთ ასპექტს, როგორიც არის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1990 წლის გეგმის განხილვა და მიღება. იქნებ ვიღაცას ეჩვენოს, რომ ეს საერთოდ ჩვეულებრივი საქმეა, მასზე ხომ ყოველწლიურად მუშაობდნენ ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები. მაგრამ გეგმის შემუშავება ახლანდელ კონკრეტულ სიტუაციაში, როდესაც ჩვენ უნდა გადავჭრათ ბევრი პრობლემა, თანაც ისეთები, რომელთა გადადება უბრალოდ არ შეიძლება, მე უაღრესად მნიშვნელოვან საქმედ მესახება. ჩვენ ვერავის ვერ გადავაკისრებთ ამ პასუხსაგებ სამუშაოს. ჩვენ უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება მას შემდეგ, რაც განვიხილავთ იმ საკითხთა მთელ წრეს, რომლებიც საზოგადოებას აწუხებს. ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საგაისო გეგმის პროექტის განხილვის ფარგლები გვაძლევს ამისას შესაძლებლობას.

ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს არგუმენტირებული, აწონ-დაწონილი, პასუხისმგებლური. საბჭოთა ადამიანებისათვის ცხადი უნდა იყოს, რატომ არის, რომ ჩვენ და თქვენ სწორედ ასე ვწყვეტთ ამა თუ იმ საკითხს. გეგმის ფარგლებში უწინარესად უნდა შევიმუშაოთ სამომხმარებლო ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციის ღონისძიებანი. ეს კი გულისხმობს საქონლით ბაზრის გაჯერების ღონისძიებათა კომპლექსის რეალიზაციას და იმავდროულად — ფულადი შემოსავლის გაუმართლებელი ზრდის დაუშვებლობას. 1990 წლის გეგმაში უნდა განვითარდეს ჩვენი ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის გაძლიერების გეზი. მომავალი წელიც გვაძლევს დროს მივიღოთ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, რათა ფინანსურად გავაჯანსაღოთ ჩვენი ეკონომიკა.

როდესაც შევიმუშავებთ და ვიღებთ ამ საძნელო გადაწყვეტილებებს, დამაჯერებლად უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს ხალხს, თუ რატომ გვჭირდება ისინი, რა შედეგებს მოგვიტანს ეს უკვე უახლოეს მომავალში და რას შეიძლება მოველოდეთ, თუ ასეთი გადაწყვეტილებანი არ იქნა მიღებული.

და კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტი. უმაღლესმა საბჭომ მტკიცედ უნდა განსაზღვროს თავისი პოზიცია და გამოიტანოს გადაწყვეტილება ტრანსპორტის მუშაობის, გაფიცვებისადმი დამოკიდებულების, ვაჭრობასა და კოოპერატივების მუშაობაში წესრიგის დამყარების, ზამთრისათვის მზადების შესახებ. ყველა ეს საკითხი, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა ცხოვრებას, კომიტეტებისა და კომისიების, პალატების, მთლიანად უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მთავრობამ ყველა ამ საკითხზე რესპუბლიკებთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიებთან და კომიტეტებთან თანამოქმედებით დაუყოვნებლივ უნდა მოამზადოს და შეიტანოს წინადადებანი.

შემდეგ, ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გადამწყვეტი წინსვლის, ეროვნებათშორის ურთიერთობაში არსებული დაძაბულობის შესუსტების საჭიროება მოითხოვს უწინარეს ყოვლისა განვიხილოთ კანონები საკუთრების, მიწის, არენდისა და საარენდო ურთიერთობის, საგადასახადო სისტემის შესახებ და ასე შემდეგ, — ანუ დავიწყოთ იმით, რითაც დავამთავრეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საგაზაფხულო სესიის მუშაობა. ასევე უნდა განვიხილოთ საკითხი რესპუბლიკური და ადგილობრივი საბჭოების მომავალი არჩევნების გათვალისწინებით სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებათა შესახებ, მივიღოთ მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები საკითხებზე, რომლებიც ეროვნულ სფეროს განეკუთვნება.

თუ გავითვალისწინებთ შემოთავაზებული დღის წესრიგის საკითხთა მთელ ნუსხას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ მოგველის უდიდესი მოცულობის სამუშაო. როგორც ჩანს, ეს გულისხმობს პირველ სესიასთან შედარებით მუშაობის ახლებურ ხასიათს, ორგანიზებულობის, საქმიანობის, სამუშაო დროის რაციონალური გამოყენების მაღალ დონეს. მოდით, ვითანამშრომლოთ ამ მიმართულებით. შეგვიძლია გულდაჯერებით ვთქვათ, რომ საზოგადოებაში მოელიან სწორედ ამგვარ მიდგომებს დღის წესრიგის საკითხებისადმი.

მინდა, ამხანაგებო, შევეხო კიდევ ერთ პრობლემას. ყოველი ჩვენგანი გრძნობს, თუ რაოდენ საჭიროა გავაძლიეროთ დისციპლინა, განვამტკიცოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგი ქვეყანაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის ბოლოს ჩვენ პრაქტიკულად ერთხმად მივიღეთ დადგენილება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ. ამ საფუძველზე მუშაობა ჩაღდება, მას უკვე გამოაქვს პირველი ნაყოფი, თუმცა, ჯერ კიდევ უმნიშვნელო. არ შეიძლება არ ვხედავდეთ, რომ თუმცა სამართალდამცავი ორგანოები უფრო გაბედულად და აქტიურად ამოქმედდნენ, ხოლო საზოგადოებრიობა უკეთ უჭერს მათ მხარს, გარდატეხაზე ლაპარაკი ჯერ კიდევ ადრეა, დამნაშავეობა მაინც იზრდება. რა გვაწუხებს ყველაზე მეტად? საწარმოებისა და დაწესებულებების ნორმალური ფუნქციონირება, შრომა და ცხოვრების ყოველდღიური პირობები, ადამიანთა შეგრძნება, ის კი არა, პირადი უსაფრთხოება არცთუ იშვიათად აწყდება ეროვნებათშორის კონფლიქტებთან, ამა თუ იმ ისეთი მოთხოვნების დაკმაყოფილების მიღწევის ცდებთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ არეულობას, რომლებიც იქნებ დასაბუთებულიც იყოს, მაგრამ ძალდატანების, ათასგვარი ულტიმატუმის წამოყენების გზით ხორციელდება.

არ უნდა იყოს საჭირო იმის თქმა, რომ ყოველივე ეს უაღრესად არასასურველი, საშიში მოვლენაა, რომელიც არსებითად ამუხრუჭებს გარდაქმნის პროცესების განვითარებას და იწვევს საზოგადოების მთელ რიგ უაღრესად ნეგატიურ რეაქციებს. ამაში მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, როდესაც რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე მუშებსა და გლეხებს — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებს.

მთავარია, ჩვენს საზოგადოებაში კარგად გაიგონ, რომ შეუწყნარებლობა, ძალის იმედად ყოფნა — ეს არ არის პრობლემების გადაჭრის მეთოდი. ასეთი გზით, პირიქით, შეიძლება მხოლოდ უკან გადავწიოთ ყოველგვარი საკითხის გადაწყვეტა გაურკვეველი ვადით, გავართულოთ იგი. დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში, რომელსაც ჩვენ ვესწრაფვით, არ შეიძლება იყოს და არ უნდა იყოს პოლიტიკური მოქმედების ხერხი, რომელიც განსხვავდება ისეთ საშუალებათაგან, როგორიც არის კანონზე დაყრდნობა, მისწრაფება, — გადავწყვიტოთ ყოველგვარი საკითხი უწინარეს ყოვლისა თანხმობის მიღწევის გზით. აი რატომ არის, რომ ახლა, ახალი კანონების შექმნასთან ერთად, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება თვით კანონიერების განმტკიცებას. არავითარ კანონს, თუნდაც საუკეთესოს, არავითარი ფასი არ ექნება, თუ იგი ფარატინა ქაღალდად დარჩება, თუ სახელმწიფო ვერ შეძლებს უზრუნველყოს მისი განუხრელი განხორციელება, თუ მოქალაქენი არ შეასრულებენ მას შეგნებულად. საქმის ამ მხარეს უნდა მიაპყრონ ყურადღება უმაღლესმა საბჭომ და საკავშირო მთავრობამ, ხელისუფლების რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა ორგანოებმა, ყველამ, ვისაც ჩვენი კონსტიტუციით ევალება უზრუნველყოს მიღებული კანონების განხორციელება.

საგანგებოდ მოგახსენებთ იმას, რაც ამ მომენტში ჩვენი უდიდესი შეშფოთების საგანია. ეს გახლავთ სომხეთსა და აზერბაიჯანში მთიანი ყარაბაღის პრობლემასთან დაკავშირებით შექმნილი მდგომარეობა, აქ წარმოშობილი უაღრესად დაძაბული სიტუაციის შესახებ ამ ცოტა ხნის წინ ვილაპარაკე ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში. განვლილი დღეების მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდებოდა ღონისძიებანი ამ რთული ხლართის გასახსნელად, უწინარეს ყოვლისა, რკინიგზებზე შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, არაფერი გამოვიდა. მხოლოდ წუხელ დაიძრნენ დატვირთული მატარებლები და გადაზიდვის მეტი, ვიდრე დღისით ეზიდებიან. ვგონებ, როგორც ამხ. ვორონინი და საკავშირო უწყებათა წარმომადგენელი სხვა ამხანაგები მოგვახსენებენ, რომლებიც იქ რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად მოქმედებენ, რაღაც სასიკეთო ცვლილებები დაისახა.

და მაინც, ამ რეგიონს ასეთ მდგომარეობაში ვერ ვამყოფებთ. თუ საქმეს სტაბილური ხასიათი არ მიენიჭა, მე ვფიქრობ, სსრ კავშირის მთავრობამ რესპუბლიკურ ორგანოებთან ერთად უნდა შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში კონკრეტული წინადადებანი ამ ხლართის გასახსნელად განსახორციელებელ ამომწურავ ღონისძიებათა შესახებ. მოვიცადოთ ერთ-ორ დღეს, დაე, მოემზადოს მთავრობა, რათა საჭიროებისამებრ მოვახსენოთ ჩვენი წინადადებანი.

კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ამხანაგებო, რომ ჩვენ შევძლებთ თავი გავართვათ ამ სესიის წინაშე მდგომ ამოცანებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიმუშავებთ ზღვრული დატვირთვით, გავიცნობიერებთ პასუხისმგებლობას ჩვენი საქმიანობის შედეგებისათვის, რომლებსაც მოუთმენლად მოელიან მთელ ქვეყანაში. თუ მოკლედ ვიტყვით, ალბათ უმაღლესი საბჭოს ამ საშემოდგომო სესიის დევიზი უნდა იყოს საქმიანი მიდგომა, სწორედ საქმიანი მიდგომა გვმართებს განსაკუთრებით ახლა, როდესაც ქვეყანა უმაღლესი ხელისუფლების ორგანოებისაგან მოელის კონკრეტულ და ეფექტიან გადაწყვეტილებებს. თუ აქ გაისმა მოწოდებანი, რომლებიც არ შეესაბამება ახლანდელ სიტუაციას და ხალხის მოლოდინს, მე ვფიქრობ, საზოგადოება გულს აიყრის უმაღლეს საბჭოსა და მთავრობაზე.

ნება მიბოძეთ, გამოვთქვა რწმენა, ამხანაგო დეპუტატებო, რომ, თუ ერთსულოვნად და პასუხისმგებლობის გრძნობით ვიმუშავებთ, ჩვენ შევძლებთ გადავწყვიტოთ ის რთული პრობლემები, დღეს რომ დგას ქვეყნის წინაშე, უზრუნველვყოთ პირობები გარდაქმნისა და საბჭოთა საზოგადოების განახლების პროცესის შემდგომი განვითარებისათვის.

მ. ს. გორბაჩოვმა ა. ი. ლუკიანოვს მისცა სიტყვა ცნობისათვის სესიის დღის წესრიგის გამო.

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად, თქვა **ა. ი. ლუკიანოვმა**, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის შესახებ. ისინი დეტალურად განვიხილეთ პრეზიდიუმის 21 სექტემბრის სხდომაზე, რომელშიც ყველა კომიტეტისა და კომისიის თავმჯდომარე მონაწილეობდა.

ნება მიბოძეთ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით მოგახსენოთ ეს წინადადებანი.

უწინარეს ყოვლისა, — რაც შეეხება სესიის დღის წესრიგს.

უმაღლესმა საბჭომ უნდა განიხილოს მრავალი კანონპროექტი და სხვა საკითხები, რომლებიც გამომდინარეობს კონსტიტუციის მოთხოვნებიდან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის დავალებებიდან, წინა სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან. ამჟამად გვაქვს ასეთი საკითხების მოზრდილი პაკეტი. სულ მათი რიცხვი სამოცს აღწევს.

არის წინადადება, რომ მეორე სესიის ხანგრძლივობა ორი თვით განისაზღვროს.

ვითვალისწინებთ რა ამ შეზღუდულ ვადებს და იმის საჭიროებას, რომ მნიშვნელოვანი დრო უნდა დაეთმოს კომიტეტებისა და კომისიების მუშაობას, ეტყობა, ვერ მოხერხდება ყველა არსებული საკითხის განხილვა, ამასთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ჩვენს ხელთ არსებული ყველა საკითხის საგულდაგულო ანალიზის შემდეგ დაასკვნა, რომ მეორე სესიის დღის წესრიგში საჭიროა შევიტანოთ უწინარეს ყოვლისა კანონპროექტები, რომლებიც ჩვენ უწინარესი განხილვისათვის დავსახეთ, აგრეთვე საკითხები, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე უნდა გავიტანოთ. სულ, როგორც ვხედავთ, 19 ასეთი საკითხია, ხოლო შემოთავაზებული დღის წესრიგის სხვა საკითხებთან ერთად, — 34.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოთავაზებულია უწინარეს ყოვლისა, შემოტანილ იქნეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელთა პროექტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა მიმდინარე წლის 1 სექტემბერს. მიზანშეწონილი იქნებოდა, ეს კანონპროექტები მიგვეღო არა უგვიანეს ოქტომბრის დამლევისა, რაც შესაძლებლობას მოგვცემდა დაგვემთავრებინა საწარმოების, გაერთიანებების, დარგებისა და რესპუბლიკების გეგმების ჩამოყალიბება მომავალი წლის დამდეგისათვის.

უმაღლესი საბჭოს მიმდინარე წლის 24 ივლისის დადგენილებით საჭიროდ იქნა მიჩნეული განგვეხილა უპირველესი წესით საკუთრების, სოციალისტური საწარმოს, ერთიანი საგადასახადო სისტემის კანონების, კოოპერაციის კანონის შეცვლის კანონპროექტები, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის, არენდისა და საარენდო ურთიერთობის კანონმდებლობის საფუძველთა პროექტები. ეს კანონპროექტები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უმაღლეს საბჭოში წარმოადგინა და ასევე დაურიგდათ დეპუტატებს.

სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის დავალების შესაბამისად, სესიაზე გათვალისწინებული გვაქვს ვიმსჯელოთ, ხოლო შემდეგ შევიტანოთ ყრილობის განსახილველად პროექტები კანონისა საარჩევნო სისტემის საკითხებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ, ყრილობის და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, კონსტიტუციური ზედამხედველობის კანონის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა კანონისა, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოებისა და სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების საქმიანობასთან. დიდი მნიშვნელობა ექნება მოკავშირე რესპუბლიკებში ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ხელმძღვანელობის ზოგადი საწყისებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი მეურნეობის ზოგადი საწყისების შესახებ კანონთა განხილვას და მიღებას სესიაზე.

გარდა ამისა, სესიაზე უნდა განგვეხილა საკითხები, რომელთა თაობაზე გვაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დავალებანი. მათ განეკუთვნება კანონპროექტები ლიტვის სსრ და ესტონეთის სსრ ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე გადასვლის შესახებ, კოლექტიური შრომითი დავის (კონფლიქტების) გადაწყვეტის წესის შესახებ, ავღანეთში საბჭოთა ჯარების შეზღუდული კონტინგენტის ყოფილ სამხედრო მოსამსახურეთა ამნისტიის შესახებ, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაულობანი და ავღანეთის შეიარაღებული ოპოზიციის ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

მიზანშეწონილად გვესახება აგრეთვე მოვისმინოთ სესიაზე იმ კომისიების მოხსენებანი, რომლებიც ყრილობამ და უმაღლესმა საბჭომ ჩამოაყალიბეს და შეძლებისდაგვარად დავიწყოთ ზოგიერთი სხვა კანონპროექტის განხილვა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამას გარდა, სესიაზე, ალბათ, განვიხილავთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს, რომლებიც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველი ყრილობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობს და რომელთა შესახებაც ვიმსჯელეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმზე. საქმე ეხება უწინარესად ისეთ კანონებს, როგორიც არის სსრ კავშირის ხალხთა ენების თავისუფალი განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გამოყენების, თავიანთი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ან სსრ კავშირის ტერიტორიაზე ასეთი წარმონაქმნების არმქონე სსრ კავშირის მოქალაქეთა თავისუფალი ეროვნული განვითარების, სსრ კავშირის მოქალაქეობის კანონები.

რა თქმა უნდა, სესიის დროს შეიძლება წამოიჭრას სხვა საკითხებიც, რომლებიც არ არის გათვალისწინებული დღის წესრიგის პროექტით. უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ისინი შეიძლება დამატებით იქნეს შეტანილი ჩვენს დღის წესრიგში ან განვიხილოთ უდღისწესრიგოდ.

როგორც უმაღლესი საბჭოს მუშაობის პრაქტიკამ ცხადყო, სესიის პროცესში დეპუტატებს წამოეჭრებათ სხვადასხვა საკითხები, რომლებიც განხილვას მოითხოვს. ესეც უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი საქმიანობის დაგეგმვისას.

ამრიგად, უმაღლესმა საბჭომ, როგორც დღეს მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, უნდა გასწიოს ძალზე დიდი სამუშაო, განიხილოს კანონპროექტების და სხვა საკითხების კომპლექსი. ამ მუშაობის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მის ორგანიზაციაზე, უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პალატების მუდმივ კომისიებში ყველა საკითხთა საგულდაგულო და სერიოზულ მომზადებაზე. ეტყობა, ახლა სწორედ იქ უნდა გადაინაცვლოს მთელი საქმის სიმძიმის ცენტრმა.

ამის შესახებ, როგორც გახსოვთ, ლაპარაკობდნენ პირველ სესიაზე მთელი რიგი დეპუტატები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაითვალისწინა სწორედ ეს მოსაზრებანი და ერთსულოვნად გამოიტანა დასკვნა მეორე სესიის მუშაობის შემდეგი წესის შესაძლებლობის შესახებ.

არის წინადადება, დადგინდეს, რომ პალატების პლენარული სხდომები მოეწყობა, როგორც წესი, კვირაში ორ დღეს — ორშაბათ-სამშაბათს, ხოლო დანარჩენი დრო დაეთმობა კომიტეტებისა და კომისიების მუშაობას. ასეთი წესი, ჩვენი აზრით, ხელს შეუწყობს საკითხთა უფრო გაღრმავებულ დამუშავებას და საშუალებას მოგვცემს ყოველმხრივ განვიხილოთ ისინი პალატების სხდომებზე. კერძოდ, თქვენ, ამხანაგო დეპუტატებო, უკვე დაგირიგდათ უმაღლესი საბჭოს, კომიტეტებისა და კომისიების მომავალი ორი კვირის მუშაობის სავარაუდო გრაფიკი და კომისიებში გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების განხილვის დაწვრილებითი გეგმა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ სესიაზე კანონპროექტები და სხვა საკითხები იმ თანამიმდევრობით, რომლითაც ისინი შევა სესიის დღის წესრიგში. რა თქმა უნდა, შესაბამის საკითხთა მომზადების კვალობაზე პალატებს შეუძლიათ აირჩიონ მათი განხილვის სხვა წესი.

უმაღლესი საბჭოს მიერ 19 ივლისს დამტკიცებული კანონპროექტების განხილვის დროებითი წესების თანახმად, კანონთა პროექტები შეიძლება განხილულ იქნეს სესიაზე, როგორც წესი, ორი წაკითხვით. პირველი წაკითხვისას დეპუტატები გამოიტანენ პროექტის ზოგად შეფასებას, გადაწყვეტენ მისი შესაძლო გამოქვეყნებისა და კანონპროექტზე შემდგომი მუშაობის წესის საკითხებს. ხოლო მეორე წაკითხვისას მოეწყობა პროექტის მუხლების მიხედვით განხილვა და მიღება.

საჭიროებისამებრ, პალატების პლენარულ სხდომებზე შეიძლება გამოიყოს დრო დეპუტატთა განაცხადებისა და კითხვებზე პასუხის გასაცემად, აგრეთვე პროცედურული სიტუაციების განსახილველად.

მეორე სესიის დამთავრება ნავარაუდევია დაახლოებით 24 ნოემბერს, თუ არ იქნა მიღებული სხვა გადაწყვეტილება.

ასეთია, ამხანაგო დეპუტატებო, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინადადებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის დღის წესრიგისა და მუშაობის წესის გამო.

უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებმა ერთსულოვნად საჭიროდ ცნეს, რომ უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობას თავიდანვე მიენიჭოს საქმიანი, კონსტრუქციული ხასიათი. ამას მოითხოვს ჩვენგან დრო. ამას მოითხოვს დეპუტატებისაგან ხალხი.

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ლ. ა. ვორონინმა**.

სალამოს სხდომაზე მოხსენება სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1988 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა **ვ. ს. პავლოვმა**.

სხდომის თავმჯდომარემ მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს და პალატების კომისიებს დაევალათ წინასწარი წესით განეხილათ ქვეყნის საგაისო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტები და მოემზადებინათ მათ გამო თავიანთი დასკვნები. ამ მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ილაპარაკა კავშირის საბჭოს საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ **ვ. გ. კუჩერენკომ**. დეპუტატები დაეთანხმნენ მის წინადადებებს კომისიებსა და კომიტეტებში გეგმის პროექტების განხილვის შემდგომი წესის შესახებ.

ლ. ა. ვორონინმა უპასუხა კითხვებს, რომლებიც დეპუტატებს წამოეჭრათ სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით.

დასასრულ განიხილეს საკითხი რეგისტრაციისა და კენჭისყრის ელექტრონული სისტემის საექსპლოატაციოდ მიღების შესახებ. დეპუტატებმა ხმა მისცეს სისტემის საექსპლოატაციოდ მიღებას.

განხილვის შემდეგ შეტანილ შესწორებათა გათვალისწინებით დაამტკიცეს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის წესი.

* * *

26 სექტემბერს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც გახსნა **მ. ს. გორბაჩოვმა**, უმალ შეუდგა დისკუსიას ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხზე — სახალხო მეურნეობის კოოპერაციული სექტორის აწმყოსა და მომავალზე, „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ კანონის პროექტის თაობაზე მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ლ. ი. აბალკინმა**.

რა არის პრინციპულად ახალი ქვეყანაში კოოპერაციული მოძრაობის განვითარებისადმი მთავრობის მიდგომაში? უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვჭირდება, როგორც მთავრობის წარმომადგენელმა თქვა, კოოპერაციული მოძრაობის ცივილიზებული სისტემა. უნდა დავძლიოთ ეკონომიკის საყოველთაო გასახელმწიფოებრიობის ტენდენცია. დამახასიათებელია, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, რომ სწორედ კოოპერაციული სექტორი დგამს პირველ სერიოზულ ნაბიჯებს სოციალისტური ბაზრის ჩამოყალიბების გზაზე, მან სამეურნეო სფეროში დააწინაურა ბევრი ენერგიული, საქმიანი ადამიანი, ხელს უწყობს ბევრ სფეროში ათეული წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული სახელმწიფო მონოპოლიზმის დიქტატის მორყევას.

სწორედ ამ სექტორის განვითარებამ უბიძგა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს შესწორებები შეეტანა სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონში.

ამავე დროს — და ახლა ამის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და წერენ — კოოპერაციული მოძრაობის განვითარებაში საკმაოდ არის ნეგატიური მოვლენები. ცხადია, რომ ჯერჯერობით სოციალისტური ეკონომიკის ორი სექტორის შეჯიბრება, კონკურენცია ადამიანის, მომხმარებლის სასარგებლოდ არ გამოვიდა. ერთი მონოპოლია მეორემ შეცვალა. ეს შეცვლა დაამძიმა სხვადასხვა თაღლითობამ და ბოროტად გამოყენებამ, რაც საზოგადოებრიობის თვალს არ გამოეპარა და მის კანონიერ აღშფოთებას იწვევს.

აი რატომ უნდა დავაჩქაროთ კოოპერაციის შესახებ კანონმდებლობის სრულყოფა. მტკიცედ უნდა მოვაშოროთ ამ სექტორს ყველაფერი, რაც ამახინჯებს მის არსს, სახელს უტეხს ადამიანების თვალში. ამაში, თქვა მომხსენებელმა, მთავრობის პოზიცია მტკიცე და ერთმნიშვნელოვანია.

მაგრამ მომხსენებელმაც და ბევრმა სახალხო დეპუტატმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უნდა გადაისინჯოს კანონის პროექტში კოოპერატორთა საქმიანობის რეგულირებაში ადგილობრივი საბჭოების როლის მკვეთრად ზრდა.

კოოპერაცია მოწოდებულია დაშალოს ვიწრო ადგილები ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის მუშაობაში, თქვა, კერძოდ დეპუტატმა **ა. ა. კორშუნოვმა**. ბოლო უნდა მოეღოს იმ კოოპერატივების რეგისტრაციის პრაქტიკას, რომლებიც არაფერს არ აწარმოებენ, და მხოლოდ ძარცვენ სახელმწიფოს, მაშასადამე, — ხალხს. ორატორმა ასეთი საკითხიც დასვა: რატომ არ აღნიშნა მომხსენებელმა, რაოდენ მწვავედ განიხილეს კოოპერაციული მოძრაობის პრობლემა საკავშირო პროფსაბჭოს ამასწინანდელი პლენუმის მონაწილეებმა. ორატორმა წინადადება წამოაყენა შეიმუშაონ ერთიანი კანონი საწარმოს შესახებ, რომელიც თანაბარ პირობებს შეუქმნის იმათ, ვინც მუშაობს სახელმწიფო და კოოპერაციულ სექტორებში. მაშინ, დასძინა მან, არ შეიქმნება სიტუაცია, როგორიც შეიქმნა მის მშობლიურ ტაშკენტის საავიაციო ქარხანაში, საიდანაც კვალიფიციური სპეციალისტები პირდაპირ გარბიან კოოპერატივებში. რას წარმოადგენს ზოგიერთი კოოპერატივი? მსჯელობს დეპუტატი **ი. ხახაროვი**.

ჩვენში არ მოქმედებს მთავარი კანონი — შრომითი შემოსავლის შესახებ, შენიშნა დეპუტატმა **ნ. ს. პეტრუშენკომ**. მან წამოაყენა წინადადება, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიქმნას მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის კომისია.

გამოითქვა აზრი, რომ, უნდა გამკაცრდეს კონტროლი კოოპერატივების საქმიანობისადმი. როგორც ერთ-ერთმა დეპუტატმა თქვა, უნდა მოისპოს თაღლითობის მექანიზმი ყველა სფეროში.

საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა უპასუხა ოპონენტებს. ბევრი დეპუტატი, თქვა მან, უსაყვედურებდა მთავრობას, რომ მან შეფასება არ მისცა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმის გადაწყვეტილებებს. მაგრამ საკავშირო პროფსაბჭომ თვად რატომ არ უნდა გამოიყენოს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება და წამოაყენოს ალტერნატიული კანონპროექტი კოოპერატივების შესახებ?

სახალხო დეპუტატებმა, რომლებმაც ბევრი კონკრეტული წინადადება წამოაყენეს კოოპერაციულ სფეროში ნეგატიური მოვლენების დაძლევის მიზნით, 370 ხმით. 69 ხმის წინააღმდეგ დაადგინეს, მოწონებულ იქნეს პირველი წაკითხვით კანონის პროექტი. ახლა მის თაობაზე დისკუსია გადატანილი იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პალატების კომისიებში.

საღამოს სხდომაზე დეპუტატთა ჯგუფმა შეიტანა წინადადება სავაჭრო-შემსყიდველი და საშუამავლო კოოპერატივების პრაქტიკულად დაუყოვნებელი დახურვის შესახებ.

კოოპერაციის ბედის საკითხი, თქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის, კანონიერებისა და მართლწესრიგის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ **ს. ს. ალექსეევმა**, უნდა გადაწყდეს ცივი გონებით, მისი ყველა ასპექტი საგულდაგულოდ უნდა შევისწავლოთ საპარლამენტო კომიტეტებსა და კომისიებში. ამ თვალსაზრისს მხარი დაუჭირა უმრავლესობამ.

გაიმართა აზრთა გაზიარება კოოპერატივების პრაქტიკასთან დაკავშირებით შრომის ანაზღაურების ფონდების დაბეგვრის საკითხის გამო.

შემდეგ სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა **ვ. ს. პავლოვმა** უპასუხა დეპუტატთა კითხვებს, რომლებიც ეხებოდა ქვეყნის 1990 წლის ბიუჯეტის პროექტს.

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დეპუტატთა წინადადებით შექმნა იმ საკითხთა კომისია, რომლებიც წამოიჭრა ამერიკის შეერთებულ შტატებში სსრ კავშირის სახალხო დეპუტატის ბ. ნ. ელცინის მოგზაურობის საბჭოთა პრესაში გაშუქებასთან დაკავშირებით.

უახლოესი სამი დღის განმავლობაში სესიის მუშაობა გადატანილი იქნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და პალატების კომისიებში, რომლებსაც გადასცეს სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები. (საქდესი).

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1989 წლის 27 სექტემბერი № 341 ქ. მოსკოვი

1989 წლის ოქტომბერ-დეკემბერში თადარიგში იმ სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ, რომლებმაც გაიარეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის დადგენილი ვადა და ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოქალაქეთა მორიგი გაწვევის შესახებ

„**საყოველთაო** სამხედრო ვალდებულების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად **ვბრძანებ:**

1. დათხოვნილ იქნენ თადარიგში 1989 წლის ოქტომბერ-დეკემბერში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებიდან ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც გაიარეს ნამდვილი სამხედრო სამსახურის ვადა.

2. გაწვეულ იქნენ ნამდვილ ვადიან სამხედრო სამსახურში 1989 წლის ოქტომბერ-დეკემბერში მამრობითი სქესის მოქალაქენი, რომლებსაც გაწვევის დღისათვის უსრულდებათ 18 წელი, არა აქვთ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების უფლება, აგრეთვე უფროსი გასაწვევი ასაკის მოქალაქენი, რომლებმაც დაკარგეს გაწვევის გადავადების უფლება.

3. ეს ბრძანება გამოცხადდეს ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში და ხომალდზე.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი არმიის გენერალი
დ. იაზოვი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ სისხლის სამართლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № 1, მუხ. 10) 180-ე მუხლში ცვლილებები და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 180.** მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დარღვევა.

მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების პირდაპირი ან ფარული დარღვევა (მიწის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ჩუქება, იჯარა, მიწის ნაკვეთის თვითნებური მიტაცება ან გაცვლა და სხვ.) —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე, მიწის ნაკვეთის და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ან ჯარიმით სამი ათას მანეთამდე, მიწის ნაკვეთის და მასში მიღებული ფულადი ან სხვა ქონებრივი საზღაურის ჩამორთმევით და ამ ნაკვეთზე აგებულ ნაგებობათა კონფისკაციით ან აღებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ვ. ქვარაცხელია.

თბილისი. 1989 წლის 26 სექტემბერი.

ერის სამსჯავროზე...

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის დასკვნა

თბილისის 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის ობიექტური გამოძიების მიზნით, ფართო საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 17 აპრილის №2136-XI ბრძანებულებით, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 119-ე მუხლის შესაბამისად შეიქმნა ქ. თბილისის 9 აპრილის მოვლენათა საგამოძიებო კომისია.

კომისიამ შეისწავლა ასობით მოწმის, დაშავებულის, წესრიგის უზრუნველსაყოფად შემთხვევის ადგილზე მყოფი საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომლების, აგრეთვე მედიცინის მუშაკების ჩვენებები, რომლებიც ადგილზე დახმარებას უწევდნენ მოშიმშილეებს და დაშავებულებს; მოისმინა თავის სხდომებზე მოწვეული საქართველოს სსრ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული, საბჭოთა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებანი, გამოიყენა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მიერ 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით შექმნილ საგამოძიებო კომისიაზე საქართველოს პარტიული და მმართველობითი ორგანოების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის და სხვა სამხედრო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ახსნა-განმარტებანი; გააანალიზა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და სხვა ორგანოებში არსებული დოკუმენტური მასალა, რომელზედაც ხელი მიუწვდა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის, სამედიცინო და ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის, აგრეთვე სსრ კავშირის და საზღვარგარეთის მეცნიერ-სპეციალისტთა დასკვნები. კომისია გაეცნო 9 აპრილის მოვლენათა აღმნუსხველ მრავალ ვიდეოფირს, ფოტოსურათებსა და სხვა ნივთმტკიცებებს. მოვლენათა სრული შეფასების მიზნით კომისიამ შეისწავლა საზოგადოებრივი აზრი 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, რესპუბლიკური, საკავშირო და საზღვარგარეთის პრესა.

ამავე დროს კომისია აღნიშნავს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ნიკოლსკიმ და ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა ი. როდიონოვმა დაარღვიეს კონსტიტუციური მოთხოვნა და არ გამოცხადდნენ კომისიის სხდომაზე.

შეგროვილი მასალების ანალიზის შედეგად დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება კომისიას საფუძველს აძლევს გამოიტანოს შემდეგი დასკვნები.

I

9 აპრილის მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობისა და კანონიერების საკითხის შესახებ

1988-1989 წლებში ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემასთან ბრძოლისა და დემოკრატიზაციის პირობებში საქართველოში მკვეთრად გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრი. მრავალრიცხოვან მიტინგებსა და დემონსტრაციებზე წამოყენებულ იქნა მწვავე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემები. დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოძრაობა დავითგარეჯის კომპლექსის დაცვისათვის, ტრანსკავკასიის რკინიგზის და ზოგიერთი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ეკოლოგიური უზრუნველყოფისათვის, სსრ კავშირის კონსტიტუციაში რესპუბლიკების სუვერენიტეტის შემზღუდავი ცვლილებების შეტანის წინააღმდეგ. მწვავედ იდგა აგრეთვე საბჭოთა არმიაში ქართველი ჯარისკაცების დისკრიმინაციისა და მათ მიმართ ძალადობის საკითხი. მანიფესტაციებმა განსაკუთრებით კრიზისული ხასიათი მიიღო 1988 წლის ნოემბერსა და 1989 წლის თებერვალში. თანდათან გამოიკვეთა ხელისუფლების მკვეთრი უარყოფითი დამოკიდებულება მიტინგებისა და დემონსტრაციების მიმართ. ამის დადასტურებაა ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში ჩატარებული 38 მიტინგიდან მხოლოდ 4 იყო ნებადართული, თუმცა უარის თქმის გადაწყვეტილებანი, ჩვეულებრივ, მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. იყო აგრეთვე უსანქციო მიტინგების წინააღმდეგ ძალის გამოყენების შემთხვევები 1988 წლის 22 სექტემბერს, 1989 წლის 18 და 25 თებერვალს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა ჯერ კიდევ 1988 წლის ნოემბერში სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიმართა თხოვნით თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. თხოვნა არ დაკმაყოფილებულა. ყველაფერი ეს იწვევდა ხელმძღვანელობისა და ხალხის პოზიციების სრულ პოლარიზაციას.

1989 წლის 18 მარტს აფხაზეთის ასსრ სოფელ ლიხნში გაიმართა თავყრილობა, რომელზეც მიიღეს არაკონსტიტუციური დადგენილება საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის შესახებ; მიღებული წერილი პირდაპირ — რესპუბლიკის მთავრობის გვერდის ავლით — გადაეგზავნა საკავშირო მთავრობას. ეს ფაქტი საზოგადოებრიობამ აღიქვა, როგორც რესპუბლიკის უუფლებობის კიდევ ერთი დასაბუთება.

1989 წლის 4 აპრილიდან ქ. თბილისში მთავრობის სასახლის წინ დაიწყო მრავალათასიანი უსანქციო მიტინგი, სადაც თავი იჩინა წლების მანძილზე დაგროვილმა ყველა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა პრობლემამ. მიტინგის მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნა 1921 წელს დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისა და სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს სსრ გასვლის შესახებ (მოქმედი კონსტიტუციის 69-ე მუხლის თანახმად). ამ კონსტიტუციური მოთხოვნების გამოსახატავად მათ შეარჩიეს უკიდურესად მშვიდობიანი გზა — შიმშილობა. მოშიმშილეებს მხარს უჭერდნენ მოქალაქეთა დიდი ჯგუფები, რომლებიც მართავდნენ მიტინგს წამოყენებული მოთხოვნების მხარდასაჭერად.

ზემოხსენებული მოთხოვნის გარდა მიტინგზე გაჩნდა ისეთი მკვეთრი პლაკატები, როგორიცაა „ძირს კომუნისტური რეჟიმი“, „ძირს რუსეთის იმპერიალიზმი“, „სსრ კავშირი ხალხთა საპყრობილეა“ და სხვა. ამგვარი პლაკატები მოთხოვნის ხასიათისა არ იყო, გამოხატავდა სინამდვილისადმი მომიტინგეთა ერთი ნაწილის შეფასებითს დამოკიდებულებას და, რაც მთავარია, არ შეიცავდა რაიმე მოქმედებისათვის მოწოდებას. ამდენად ამ პლაკატების არსებობა ვერ ცვლის მიტინგის მშვიდობიან ხასიათს.

ამავე დროს მიტინგს თან ახლდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, რაც გამოიხატა რუსთაველის პროსპექტზე ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხებით, ხელისუფლების წარმომადგენელთა კანონიერი მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობით და თვითნებობის ზოგიერთი გამოვლინებით. დაიწყო საგაფიცვო მოძრაობა, რომელსაც პრაქტიკულად რაიმე სერიოზული შედეგი არ მოჰყოლია, არც ერთი საწარმო არ გაჩერებულა. წამოყენებული იყო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადადგომის მოთხოვნაც, თუმცა მის განსახორციელებლად არ ყოფილა დასახული რაიმე კონკრეტული გზა.

კომისიის მიერ შეგროვილი უამრავი მტკიცებულება, განსაკუთრებით ვიდეოფილმები, და მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს, რომ მიტინგი მშვიდობიანი იყო. არ ყოფილა ძალადობა, მოწოდება ძალადობისათვის, არ ყოფილა საფრთხეში ჩაგდებული მოქალაქეთა სიცოცხლე ან ჯანმრთელობა, არ ყოფილა სახელმწიფო, საზოგადო ან პირადი ქონების დაზიანების შემთხვევები, არ ყოფილა მოწოდებები სხვა ეროვნების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ძალადობის გამოყენების ან ეროვნებათა შორის შუღლის გაღვივების თაობაზე. მომიტინგეებს არ ჰქონდათ ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღი, ან ძალადობისათვის მომარჯვებული რაიმე სხვა საგნები. ეს გარემოება დაადასტურეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. შ. გორგოძემ, ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა რ. გვენცაძემ, საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. ვ. რაზმაძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ო. ჩერქეზიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ამხ. ზ. ჩხეიძემ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა და სხვებმა.

მიტინგს არ ჰქონია ულტიმატუმის ხასიათი; არ ყოფილა დასახული კონკრეტული ძალადობის შემცველი მოქმედებანი, რასაც მომიტინგენი მიმართავდნენ, თუკი მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული არ იქნებოდა. პირიქით, საჯაროდ იყო გამოცხადებული, რომ ყველა შემთხვევაში მიტინგი დაიშლებოდა 14 აპრილს.

ამრიგად, მიტინგი არ ისახავდა მიზნად კონკრეტული პოლიტიკური შედეგის დაუყოვნებლივ მიღწევას და უფრო ხალხის საერთო-ეროვნული მისწრაფების გამოხატულება იყო.

ასეთ პირობებში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე), თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველომ (რ. გვენცაძე), რომლებსაც კანონის თანახმად უშუალოდ აკისრიათ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის წინაშე დააყენეს საკითხი თავის განკარგულებაში არსებული ძალების მეოხებით მთავრობის სახლის წინ მიმდინარე მიტინგის აღკვეთისა და დედაქალაქში ნორმალური მდგომარეობის აღდგენის შესახებ. მათი წინადადებით მიტინგი უნდა აღეკვეთათ გამთენიისას, როდესაც მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა რჩებოდა ხოლმე (100-200 კაცი), ხოლო შემდეგ დაეცვათ მოედანი და არ დაეშვათ ახალი მიტინგის გამართვა. საამისო ძალები, მათი განმარტებით, შინაგან საქმეთა ორგანოებს ჰყავდათ. ეს წინადადება რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ არ გაიზიარა იმ მოსაზრებით, რომ მიტინგის აღკვეთა გააძლიერებდა მოსახლეობის უკმაყოფილებას, რასაც შედეგად მოჰყვებოდა მასობრივი გამოსვლები. ასეთ პირობებში კი დედაქალაქსა და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა შეუძლებელი გახდებოდა.

ამიტომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. გორგოძე) სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სთხოვა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით შინაგანი ჯარების ნაწილების საქართველოში გამოგზავნა, ხოლო რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ (ჯ. პატიაშვილი) სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინაშე აღძრა საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად დამატებითი ძალების გამოყოფის საკითხი. როგორც სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის საგამოძიებო კომისიის მასალებითაა დადასტურებული, 1989 წლის 7 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. ლიგაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი. თათბირს ესწრებოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები: ნ. სლიუნკოვი, ვ. ჩებრიკოვი და ვ. მედვედევი; პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები: ა. ლუკიანოვი, დ. იაზოვი, გ. რაზუმოვსკი, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ვ. კრიუჩკოვი, სსრ კავშირის შს მინისტრის მოადგილე ვ. ტუშინი, თათბირზე გადაწყდა:

— დაკმაყოფილდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თხოვნა რესპუბლიკისათვის სამხედრო ძალით დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა გამოსცეს შესაბამისი ბრძანებები საქართველოში სათანადო სამხედრო ნაწილების გამოგზავნის თაობაზე.

8 აპრილს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში კვლავ გაიმართა თათბირი, რომელიც მიეძღვნა საქართველოში შექმნილ მდგომარეობას. ამჯერად თათბირს ხელმძღვანელობდა ვ. ჩებრიკოვი. თათბირი იმავე შემადგენლობით გაიმართა, იმ განსხვავებით, რომ მასში მონაწილეობას არ იღებდა ე. ლიგაჩოვი, ხოლო ვ. ტუშინის ნაცვლად თათბირს ესწრებოდა სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრი ვ. ბაკატინი.

7-8 აპრილს თბილისში გადმოიყვანეს მილიციისა და შინაგანი ჯარების ქვეგანაყოფები, მათ შორის ძერჟინსკის სახელობის დივიზიის პოლკი.

ასევე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში დისლოცირებული საავიაციო პოლკი 7 აპრილს ღამით შემოვიდა ქ. თბილისში. სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის დავალებით ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი ი. როდიონოვი 7 აპრილს ქ. ლენინაკანიდან დაბრუნდა თბილისში. მასთან ერთად რესპუბლიკის დედაქალაქში ჩამოვიდა თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე კ. კოჩეტოვი. საჭიროა აღინიშნოს, რომ კ. კოჩეტოვი თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ყველა სტადიაში მონაწილეობდა. ი. როდიონოვის განმარტებით, მას თავდაცვის მინისტრისაგან მიუღია დავალება, გარკვეულიყო რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილ მდგომარეობაში და ემოქმედა სიტუაციის მიხედვით, ამასთან, საბჭოთა არმიის ნაწილები გამოეყენებინა მხოლოდ უმნიშვნელოვანესი ობიექტების დასაცავად.

ოფიციალური დოკუმენტებით დასტურდება, რომ 8 აპრილამდე ი. როდიონოვი თანახმა არ იყო მიტინგის აღკვეთაში საბჭოთა არმიის მონაწილეობისა. კერძოდ, 7 აპრილს ი. როდიონოვი უგზავნის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს შიფროგრამას, სადაც აღნიშნავს, რომ მისგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ნიკოლსკი დაჟინებით მოითხოვს გამოიყენონ სამხედრო ნაწილები მიტინგის აღსაკვეთად. ი. როდიონოვის სიტყვებით, იგი არ თვლის მიზანშეწონილად, რომ არმია ახორციელებდეს მილიციის ფუნქციებს, რადგანაც ეს გაართულებს მოსახლეობის დამოკიდებულებას არმიასთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში 7 და 8 აპრილს მიმდინარეობდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა შეკრებები, რომლებზეც მსჯელობდნენ შექმნილი მდგომარეობისა და მისი ნორმალიზაციის თაობაზე. შეკრებათა საოქმო ჩანაწერები არ გაკეთებულა. ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების ყოფილი გამგე კ. აბულაძე, რომელსაც ევალებოდა საქმის წარმოების უზრუნველყოფა, ამ შეკრებებზე არ მიუწვევიათ. მათზე გამოთქმული მოსაზრებების ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების სახით გაფორმებას ჯ. პატიაშვილისა და ბ. ნიკოლსკის დავალებით საერთო განყოფილება შეუდგა 9 აპრილის შემდეგ, თუმცა მაშინაც დასრულებული სახე ვერ მისცა მათ. ბიუროს დადგენილებები მოკლებულია ოფიციალური დოკუმენტისათვის აუცილებელ ნიშნებს; არ ახლავს ოქმები, რის გამოც დოკუმენტურად შეუძლებელია იმის დადგენა, თუ ვინ მონაწილეობდა საკითხის განხილვაში და რა პოზიცია ეკავა. ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა გამოკითხვით დადგინდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობამ 7 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება აუცილებლობის შემთხვევაში დედაქალაქში „საგანგებო წესების“ შემოღების შესახებ. ამასთანავე, არ განუსაზღვრავთ ამ ღონისძიების კონკრეტული დრო და ფორმები. ეს განპირობებული იყო იმით, რომ საგანგებო ზომების (კომენდანტის საათის) შემოღება შეიძლება აუცილებელი გამხდარიყო იმ შემთხვევაში, თუ მიტინგის აღკვეთის შემდეგ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნებოდა. იმავე დღეს პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა შეხვედრა ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. ცენტრალური კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯ. პატიაშვილმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა, როგორც კატასტროფული. თათბირის მონაწილეებმა (ა. ჯავახიშვილი, რ. ჩხეიძე, ე. გუგუშვილი, ნ. კიკვაძე) აღნიშნეს, რომ საჭიროა არაფორმალურ ორგანიზაციათა ლიდერებთან რესპუბლიკის ხელმძღვანელობის შეხვედრა და დიალოგი. მიუხედავად რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მზადყოფნისა, ეს შეხვედრა არ გამართულა, რადგან არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერებმა უნდობლობა გამოუცხადეს მათ და მოითხოვეს საკავშირო უმაღლეს ხელმძღვანელებთან შეხვედრა.

7 აპრილს 20 საათსა და 35 წუთზე ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში ნათქვამია: „უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში მდგომარეობა მკვეთრად გამწვავდა, პრაქტიკულად უკონტროლო ხდება. ექსტრემისტული ელემენტები აღვივებენ ეროვნულ გრძნობებს, მოუწოდებენ გაფიცვებისაკენ, ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობისაკენ, ქმნიან არეულობას, სახელს უტეხენ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს. შექმნილ სიტუაციაში საჭიროა საგანგებო ზომების მიღება. აუცილებლად ვთვლით:

1. დაუყოვნებლივ მიეცნენ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ექსტრემისტები, რომლებიც გამოდიან ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური, ანტიპარტიული ლოზუნგებითა და მოწოდებებით (საამისო სამართლებრივი საფუძველი არსებობს);
2. შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის დამატებითი ძალების გამოყენებით შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები (კომენდანტის საათი);
3. მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო აქტივის ძალებით განხორციელდეს პოლიტიკურ, ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ ღონისძიებათა კომპლექსი;
4. საკავშირო და რესპუბლიკურ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არ იქნეს დაშვებული პუბლიკაციები, რომლებიც ართულებენ სიტუაციას“.

დეპეშა მთავრდება შემდეგი წინადადებით: „პირველ, მეორე, მეოთხე პუნქტებზე გთხოვთ თანხმობას“. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. ლუკიანოვმა არ წაიკითხა დეპეშის ტექსტის მითითებული ნაწილი, რამაც შექმნა შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს დედაქალაქში მდგომარეობის ნორმალიზაციის ყველა ღონისძიება ცენტრის დაუკითხავად, მასთან შეუთანხმებლად განხორციელებულიყოს, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

7 აპრილს, საღამოს, ბ. ნიკოლსკიმ დააყენა სამხედრო ძალის დემონსტრირების მიზანშეწონილობის საკითხი, რასაც, მისი აზრით, უნდა მოჰყოლოდა მიტინგის მონაწილეთა დაშინება და მთავრობის სახლის წინ მათი რაოდენობის შემცირება. ი. როდიონოვის განკარგულებით ეს აქცია მართლაც განხორციელდა 8 აპრილს, დაახლოებით 1 საათზე. რუსთაველის პროსპექტზე, მომიტინგეთა შორის გაატარეს სამხედრო ტექნიკა, ხოლო თბილისის თავზე გამოჩნდა სამხედრო ვერტმფრენები. ამ აქციას საპირისპირო შედეგი მოჰყვა. მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იგრძნო რეალური საფრთხე, რომელიც ახალგაზრდობას ემუქრებოდა და თავი ვალდებულად ჩათვალა გაეზიარებინა მათთან საერთო განსაცდელი. სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ მიტინგზე ნახევარზე მეტი ქალები აღმოჩნდნენ.

8 აპრილს დილით გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა არმიის გენერლის კ. კოჩეტოვის თანდასწრებით განუცხადა ჯ. პატიაშვილს, რომ იგი დანიშნულია მიტინგის აღსაკვეთი ოპერაციის ხელმძღვანელად. როგორც შემდგომში გაირკვა, ეს დანიშვნა მოხდა სსრკ თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით.

8 აპრილს გაიმართა საქართველოს პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ნორმალიზაციისათვის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების საკითხი. კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ლობკო და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კ. კოჩეტოვი. უნდა ითქვას, რომ თბილისში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით მოსკოვიდან მოვლინებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ლობკო და ა. სელივანოვი აქტიურად მონაწილეობდნენ მიტინგის აღსაკვეთი ღონისძიებების შემუშავებაში.

აქტივის კრებაზე მოხსენება გააკეთა ჯ. პატიაშვილმა. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში შექმნილია უკიდურესად დაძაბული და აფეთქებასაშიში პოლიტიკური ატმოსფერო. ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები მოუწოდებენ დაამხონ საბჭოთა ხელისუფლება, სოციალისტური წყობილება. ვითარების განმუხტვისათვის საჭიროა გამოვიყენოთ ყველა პოლიტიკური მეთოდი, მაგრამ არ დავუშვათ პოლიტიკური სისუსტე, გაუმართლებელი დათმობები და კომპრომისები.

საკითხის განხილვის მონაწილეებმა (შ. შიოშვილი, ს. გოგიბერიძე და სხვანი) საჭიროდ მიიჩნიეს ღია დიალოგი, მიტინგის მონაწილეთათვის გაზეთში, ტელევიზიით გამოსვლის შესაძლებლობის მიცემა და სხვა.

კრებას წარუდგინეს რესპუბლიკაში ვითარების ნორმალიზაციის გადაუდებელ პოლიტიკურ და ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის მხოლოდ ნაწილი, რომელიც აქტივს გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ფოფხაძემ, თუმცა ღონისძიებათა გეგმა ასეთ პუნქტებსაც ითვალისწინებდა:

— სასწავლო დაწესებულებების ყოველ კურსზე, სკოლების უფროს კლასებში შეიქმნას ექსტრემისტულად განწყობილი მოსწავლეებისა და სტუდენტების წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები (პ. 17);

— სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მისცენ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერები და აქტივისტები, რომლებიც გამოდიან კანონსაწინააღმდეგო ლოზუნგებით და აწყობენ მართლსაწინააღმდეგო აქციებს (პ. 20);

— ნეგატიურ გამოვლინებათა აღკვეთის მიზნით შემუშავდეს სამართალდამცავი ორგანოებისა და სამხედრო ქვეგანაყოფების საქმიანობის კონკრეტული, სპეციალური გეგმა (პ. 21);

— საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისათვის აუცილებლობის მიხედვით განხორციელდეს ღონისძიებანი საგანგებო წესების შემოსაღებად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების მონაწილეობით (პ. 23).

ღონისძიებათა გეგმის შინაარსი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის ცნობილი არ იყო. აქტივის კრებას კი ეს დოკუმენტი ისე წარუდგინეს, თითქოს იგი ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წინასწარ განეხილოს და დაემტკიცებინოს. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ღონისძიებათა გეგმის მე-17 და 21-ე პუნქტები აქტივის კრებაზე არ წაუკითხავთ, ხოლო მე-20 პუნქტმა აქტივის კრების დიდი ნაწილის მხარდაჭერა პოვა (საწინააღმდეგო მოსაზრება გამოთქვა პოეტმა ჯ. ჩარკვიანმა). კრებას ამ საკითხზე რეზოლუცია არ მიუღია, კენჭისყრა არ მოწყობილა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მე-17 პუნქტი შემთხვევით არ ყოფილა ამ ღონისძიებათა გეგმაში გათვალისწინებული. იგი უკვე დანერგილი იყო პრაქტიკაში. კერძოდ, 1989 წლის 18 თებერვალს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გამართული მიტინგის დარბევაში სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (რექტორი — გ. ჩოგოვაძე, პარტკომი — ვ. ქელბაქიანი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი—ზ. გუდავაძე) სტუდენტ-კომკავშირელმა აქტივისტებმა. მიტინგის დაშლისას დაშავდა 12 მოქალაქე. ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

აქტივის კრებამ მოიწონა აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მიმართვა საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომელებისადმი, ახალგაზრდობისადმი, რომლის ტექსტი კრებას გააცნო ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ჭითანავამ. მასში, კერძოდ, ნათქვამია: „ჯერ კიდევ არის დრო, თავიდან ავიცილოთ მოვლენების დრამატული განვითარება... ჩვენს ხალხს უამისოდაც იმდენი უბედურება გამოუვლია, რომ არ გვეპატიება კიდევ ერთი ახალი ტრაგედია დავატეხოთ თავს“.

ეს მიმართვა რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა 9 აპრილს, როდესაც ტრაგედია უკვე მომხდარი იყო.

საბოლოო სიტყვაში ჯ. პატიაშვილმა აქტივის მონაწილეებს სთხოვა კრების დამთავრების შემდეგ მიტინგზე მისვლა და თავისი შეხედულებისამებრ სიტყვით გამოსვლა. „და თუ შეუძლებელი გახდება ხალხის დამშვიდება, — თქვა მან, — მაშინ ამოქმედებული იქნება აუცილებელი იურიდიულად გამართლებული „სახელმწიფოებრივი მანქანა“, რომელიც არსებობს ყოველ ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოში“.

მიტინგზე პარტიული აქტივის კრების მონაწილენი სიტყვით არ გამოსულან.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აქტივის მონაწილეთა და განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა და წევრობის კანდიდატთა უმოქმედობა შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით.

აქტივის კრების მსვლელობისას ჯ. პატიაშვილი ელაპარაკა მოსკოვს. ჯ. პატიაშვილს გააცნეს პოლიტბიუროს წინადადება ე. შევარდნაძისა და გ. რაზუმოვსკის თბილისში დასახმარებლად გამოგზავნის თაობაზე. ჯ. პატიაშვილმა არ ჩათვალა ეს საჭიროდ და ამით რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგების კიდევ ერთი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული.

პარტიული აქტივის კრების შემდეგ გაიმართა რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თათბირი სამხედრო პირების მონაწილეობით, ე. წ. თავდაცვის საბჭოს სხდომა, მაგრამ ამ სხდომის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი არ არსებობს.

თანამდებობის პირთა გამოკითხვით და მათ მიერ კომისიისათვის მიცემული ახსნა-განმარტების შეჯერებით შესაძლებელი გახდა მხოლოდ ზოგიერთი ფაქტის დადგენა. კერძოდ, თათბირს ესწრებოდნენ ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ზ. ჩხეიძე, ო. ჩერქეზია, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი, ა. ნოვიკოვი. სხდომაზე მოიწვიეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ა. კარანაძე, რესპუბლიკის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ნ. შოშიაშვილი, იუსტიციის მინისტრი ვ. შარაშენიძე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე, რადგან განიხილავდნენ საკითხს, თუ რამდენად საკმაოდ იყო სამართლებრივი საფუძველი არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების პასუხისგებაში მისაცემად და მათი საზოგადოებისაგან იზოლირებისათვის. გ. გუმბარიძეს ამ საკითხის განხილვაში ფაქტობრივად არ მიუღია მონაწილეობა, ვინაიდან მან დატოვა თათბირი დაწყებისთანავე, სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელების ინფორმაციის მოსმენის შემდეგ ისინი დაითხოვეს ისე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

იმავე თათბირზე შემდეგ გადაწყდა მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის ძალებით. როგორც ადრე იყო ნათქვამი, ოპერაციის ხელმძღვანელად დაინიშნა ი. როდიონოვი.

ი. როდიონოვმა თავის თანაშემწეებად განსაზღვრა: საბჭოთა არმიის ხაზით — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე ი. კუზნეცოვი, შინაგანი ჯარების ხაზით — შინაგანი ჯარების შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი ი. ეფიმოვი, მილიციის ხაზით — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე.

ოპერაციის გეგმის შედგენა დაევალა ი. როდიონოვს. ამასთან ითქვა, რომ ოპერაცია განხორციელდებოდა მაშინ, როცა მთავრობის სახლის წინ მომიტინგეთა მინიმალური რაოდენობა დარჩებოდა.

შ. გორგოძემ ოპერაციისათვის რესპუბლიკის მთავრობას მოსთხოვა სათანადო სამართლებრივი დოკუმენტი. 8 აპრილს საღამოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გამოსცა განკარგულება, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე ზ. ჩხეიძე. განკარგულებაში ნათქვამია: „ქალაქში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შინაგანი ჯარებისა და საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა მონაწილეობით მიიღოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დამატებითი ზომები:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შენობის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიძევონ ყველა მოქალაქე, რომლებიც მონაწილეობენ უსანქციო მასობრივ ღონისძიებებში;

— გადაიკეტოს საქართველოს სსრ მთავრობის სახლთან მოქალაქეთა თავისუფალი მისვლა;

— უსანქციო მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებისა და აქტიური მონაწილეების მიმართ მიღებულ იქნეს კანონით დადგენილი ზომები.

—ანალოგიური მოქმედებანი განხორციელდეს რესპუბლიკური ტელერადიოცენტრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე და აუცილებლობის შემთხვევაში ქალაქის სხვა ადგილებში“.

მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული განკარგულების შესასრულებლად და ოპერაციის ჩატარების დროს მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით შ. გორგოძემ იმავე საღამოს გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ქვედანაყოფებსა და თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს დაევალათ რესპუბლიკის მილიციის ძალებით მთავრობის სახლის დაცვა, მთავრობის სახლისა და ტელევიზიის და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის ტერიტორიიდან მოშიმშილეთა გადაყვანა სამედიცინო დაწესებულებებში, აგრეთვე უსანქციო მიტინგის ორგანიზატორებისა და აქტიურ მონაწილეთა დაკავება.

მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გეგმა რაიმე სხდომაზე არ განხილულა. ი. როდიონოვმა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა კომისიაზე განაცხადა, რომ ოპერაციის კონკრეტული გეგმა უნდა შეემუშავებინა ი. ეფიმოვს, თავად კი ჰქონდა ოპერაციის მხოლოდ ზოგადი სქემა. ოპერაციის დაწყების დრო — 9 აპრილის დილის 4 საათი, როგორც ი. როდიონოვი და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები განმარტავენ, გადაწყდა მაღალი თანამდებობის პირთა ვიწრო წრეში (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ი. როდიონოვი, კ. კოჩეტოვი).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც, კერძოდ, 8 აპრილს 20 საათსა და 50 წუთზე ე. ი. როდესაც მიტინგის აღკვეთა უკვე გადაწყვეტილი იყო, ჯ. პატიაშვილის ხელმოწერით მოსკოვში სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მომზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში აღნიშნულია, რომ „მდგომარეობა თბილისში კვლავ დაძაბული რჩება. მთავრობის სახლთან მიმდინარეობს მრავალათასიანი მიტინგი, რომლის ძირითადი ლოზუნგი უცვლელი რჩება: სსრ კავშირიდან გასვლა, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნა, ავტონომიათა გაუქმება და სხვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მთავრობა, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მთლიანად ფლობენ სიტუაციას, ღებულობენ ზომებს მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. შინაგან საქმეთა სამინისტროსთან და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქთან ერთად შემუშავებულია და ხორციელდება მართლწესრიგის განმტკიცების, აუცილებლობის შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო მოქმედებათა აღკვეთის კონკრეტული გეგმა. ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს, თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის მთელი აპარატი ზუსტად ასრულებს თავის ფუნქციებს, აქტიურად მუშაობენ მოსახლეობაში და მომიტინგეთა შორის. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მთავრობის მიერ ადრე მიღებული ზომების გარდა კიდევ დამატებითი ზომების მიღება მოცემულ მომენტში საჭირო არ არის“.

ამ დეპეშის გაგზავნის შემდეგ მიტინგზე, და საერთოდ დედაქალაქში, რაიმე არსებითი ხასიათის ცვლილება მდგომარეობის კიდევ უფრო გამწვავების თვალსაზრისით არ მომხდარა; არც მთავრობის დაწესებულებებზე თავდასხმების და მათი ხელში ჩაგდების რაიმე ცდები ყოფილა. პირიქით, მოსახლეობის მხრიდან იყო ცდები სიტუაციის განმუხტვისა. კერძოდ, ჯ. პატიაშვილის სახლთან მოეწყო დედათა მანიფესტაცია თხოვნით, არ დაღვრილიყო სისხლი. ამასთან დაკავშირებით 500-მა ქალმა კ. გამსახურდიას ძეგლთან გამოაცხადა შიმშილობა. ამავე დროს, მთავრობის სახლთან მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა მომიტინგეთა მშობლებისა და ახლობლების, უმეტესწილად ქალების ხარჯზე. ამან ძირფესვიანად შეცვალა სიტუაცია, რაც თავისთავად მოითხოვდა მთავრობისაგან წინასწარ შემუშავებული გეგმის შეცვლას. სწორედ ამ გარემოებათა გამო მიტინგის აღკვეთის დაწყების წინ შ. გორგოძე ოპერაციის წინააღმდეგ გამოვიდა და რესპუბლიკის ხელმძღვანელობისაგან (ჯ. პატიაშვილისაგან) მოითხოვა მისი გადადება.

ამასთან დაკავშირებით ოპერაციის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე შედგა სატელეფონო საუბარი პატიაშვილსა და როდიონოვს შორის (როდიონოვი ამ დროს ჯარის ნაწილებთან ერთად ლენინის მოედანზეა, პატიაშვილი — თავის კაბინეტში). როდიონოვმა განუცხადა პატიაშვილს, რომ მიტინგის დაშლას მძიმე შედეგი არ მოჰყვებოდა. ამ მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა ოპერაციის დაწყება დანიშნულ ვადაზე (დილის 4 საათზე).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კომისიაზე ჯ. პატიაშვილმა განაცხადა — 9 აპრილს იგი რეალურ ძალაუფლებას ფლობდა და ბოლო წუთამდე შეეძლო მიტინგის აღკვეთის ოპერაციის გადადება.

9 აპრილს, დილის 4 საათზე მიტინგის აღკვეთის ოპერაცია დაიწყო და ტრაგიკულად დამთავრდა.

იმავე დღეს დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილის მიერ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ დეპეშაში კი ნათქვამია: „8 აპრილს 21 საათის შემდეგ, მიუხედავად პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების მიერ გატარებული ყველა ზომისა, მთავრობის სახლთან დაახლოებით 15-ათასიან მიტინგზე, აგრეთვე ქალაქის სხვა ადგილებში მდგომარეობა ექსტრემისტების მიერ უკიდურესად გამწვავდა და უკონტროლო გახდა. ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები შეუდგნენ რესპუბლიკაში ძალაუფლების ხელში ჩაგდების გეგმების გამოცხადებას. ამ სიტუაციაში საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფისა და გაუთვალისწინებელი შედეგების თავიდან აცილების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დილის 4 საათზე ძალის გამოყენებით მთავრობის სახლის წინ არსებული მოედნის მომიტინგეებისაგან გასათავისუფლებლად... კომპეტენტური ორგანოების მიერ წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად გამოყენებული იყო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ქვეგანაყოფები. წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად დაიღუპა 16 ადამიანი: 13 ახალგაზრდა ქალი და 3 მამაკაცი. 100-ზე მეტმა მიიღო სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება... ამჟამად მთავრობის სახლის წინ მოედანი განთავისუფლებულია მომიტინგეებისაგან და დაცულია ჯარების მიერ“ (დეპეშის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ).

ასეთია მიმდინარე წლის 9 აპრილს თბილისში მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივი გარემოებანი. მათი სამართლებრივი შეფასება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციების, საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით საფუძველს გვაძლევს მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მიღების კანონიერების მხრივ გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მთავრობის სახლის წინ მიტინგის ძალის გამოყენებით აღკვეთის გადაწყვეტილების მიღება განაპირობა საქართველოში ბოლო ხანს მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ მცდარმა შეფასებამ და მათ მიმართ პოლიტიკურად მცდარი დამოკიდებულების ჩამოყალიბებამ.

რესპუბლიკის სუვერენიტეტის განმტკიცების, ტოტალიტარიზმისა და პოლიტიკური უძრაობის ეპოქაში დაგროვილი მწვავე სოციალურ-ეკონომიკური, ეროვნულ-კულტურული პრობლემების გადაჭრისათვის ხალხის ფართო მასების, უმეტესწილად, ახალგაზრდობისა და ინტელიგენციის მოძრაობის გააქტიურება, რომელიც უპირატესად მიმდინარეობდა უშუალოდ დემოკრატიის ინსტიტუტების (მანიფესტაციების, დემონსტრაციების, მიტინგების და ა. შ.) გამოყენებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ მიიჩნია არაფორმალური გაერთიანებების, ექსტრემისტულად განწყობილი ჯგუფების მიერ საერთო მდგომარეობის დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდად, ანტისაბჭოურ, ანტისოციალისტურ აქციებად.

შექმნილი მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის იდეოლოგიური მუშაობის უსუსურობისა და უნაყოფობის გამო (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე) რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ, ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოებმა ვერ შეძლეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების პოლიტიკური მეთოდებით მოწესრიგება და ამიტომ დაადგნენ ძალის გამოყენების პოლიტიკას.

2. რამდენადაც თბილისში 4-9 აპრილს მთავრობის სახლთან გამართულ მიტინგს მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა და დაკავშირებული არ იყო ძალადობის გამოყენებასთან, საბჭოთა წესწყობილების დამხობასთან ან მოქალაქეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ მოქმედებასთან, ამდენად არ არსებობდა სათანადო სამართლებრივი საფუძველი და აუცილებლობა საბჭოთა არმიის ნაწილებით მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილების მისაღებად.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების მიერ (ჯ. პატიაშვილი, ბ. ნიკოლსკი, ო. ჩერქეზია, ზ. ჩხეიძე, კ. კოჩეტოვი, ი. როდიონოვი) მიღებული გადაწყვეტილება მიტინგის აღკვეთის შესახებ უკანონო აქტია, რისთვისაც მათ უნდა დაეკისროთ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

ამავე დროს კომისია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უკანონო გადაწყვეტილების მიღებაში ყველაზე დიდი ბრალი ეკისრებათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. პატიაშვილს და მეორე მდივანს ბ. ნიკოლსკის.

კომისია თვლის, რომ დაუყოვნებლივ უნდა დადგეს საკითხი ჯ. პატიაშვილის, ბ. ნიკოლსკის, ი. როდიონოვის, ო. ჩერქეზიას, ზ. ჩხეიძის სახალხო დეპუტატობიდან გამოწვევისა და აგრეთვე რესპუბლიკის იდეოლოგიური ხელმძღვანელის ნ. ფოფხაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობიდან გამოწვევის შესახებ.

3. მიტინგის აღკვეთის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის უხეში დარღვევით, რადგან მიტინგის აღსაკვეთად საბჭოთა არმიის ნაწილების გამოყენება ისე დაადგინეს, რომ საქართველოს დედაქალაქში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია სამხედრო ან საგანგებო წესები.

4. სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე ა. ლუკიანოვის მიერ გაკეთებული განცხადებისაგან განსხვავებით, კომისია თვლის, რომ ცენტრალური ხელისუფლება მიტინგის დაწყების დღიდან ინფორმირებული იყო თბილისის სიტუაციის შესახებ და რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყველა აქცია ხორციელდებოდა მასთან შეთანხმებით, კერძოდ, უკანონო გადაწყვეტილება მიტინგის აღსაკვეთად სამხედრო ძალების გამოყენების თაობაზე მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრების ე. ლიგაჩოვისა და ვ. ჩებრიკოვის თანხმობით, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. იაზოვის განკარგულებით.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის განკარგულება, რომლითაც მთავრობის სახლის წინ მოედნის მომიტინგეებისაგან განთავისუფლება და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სხვა ღონისძიებანი დაევალათ სსრ კავშირის შინაგან ჯარებსა და საბჭოთა არმიის ნაწილებს, უკანონო აქტია, რადგანაც მოქმედი კონსტიტუციური კანონმდებლობა და სხვა ნორმატიული აქტები რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ასეთ უფლებამოსილებას არ ანიჭებს.

6. კანონიერების უხეში დარღვევაა არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადაწყვეტა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს მიერ შედგენილ ღონისძიებათა გეგმით და მისი განხილვა პარტიული აქტივის კრებაზე.

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, პიროვნების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის საკითხს წყვეტს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი კომპეტენტური ორგანო, და არა პარტიული აქტივის კრება.

ის ფაქტი, რომ პარტაქტივის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა ღონისძიებათა გეგმის ეს პუნქტი, მიუთითებს პარტიული აქტივის წარმომადგენელთა მართლშეგნების არასათანადო დონეს, აგრეთვე ადასტურებს ავტორიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი მეთოდების დაუფარავად გამოყენებას თანამედროვე პერიოდშიც.

7. რამდენადაც მიტინგის აღკვეთის გადაწყვეტილება უკანონო აქტია, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ ამ გადაწყვეტილების აღსრულებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები, კომისია სვამს საკითხს საქართველოს სსრ პროკურატურისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის წინაშე, რათა მათ, კანონით დადგენილი წესით, განიხილონ და გადაწყვიტონ იმ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ გადაწყვეტილების მიღებაში.

8. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამხედრო პირთა თვითნებობის, ძალაუფლების გადამეტებისა და ქვეყნის შინაგან საქმეებში საბჭოთა არმიისათვის უჩვეულო ფუნქციების დაკისრების ფაქტების აღკვეთის მიზნით საჭიროა გადაისინჯოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-5 თავში მოყვანილი დეკლარაციული ხასიათის დებულებანი, რათა ზუსტად განისაზღვროს შეიარაღებული ძალების მოვალეობანი და კომპეტენციის ფარგლები.

(გაგრძელება მე-3 გვ.)

ერის სამსჯავროზე...

(გაგრძელება)

საჭიროა გადაისინჯოს ასევე საკანონმდებლო აქტები მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის წესის და შინაგანი ჯარების უფლებამოსილების შესახებ, რადგანაც მათი გამოყენების პრაქტიკამ არ დაადასტურა ამ აქტების ეფექტიანობა; ამასთან, ისინი შეიცავენ მოქმედ კონსტიტუციასთან შეუსაბამო ნორმებს.

II

მიტინგის ალკვეთის გადაწყვეტილების ალსრულების კანონიერების შესახებ

1. მიტინგის ალკვეთის გადაწყვეტილება განხორციელდა 1989 წლის 9 აპრილს დილის 4 საათზე. ოპერაციას ხელმძღვანელობდა გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი. მას ექვემდებარებოდა ყველა [illegible] საჯარისო ფორმირება ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილის ი. კუზნეცოვისა და შინაგანი ჯარების ოპერატიული სამმართველოს უფროსის ი. ეფიმოვის მეთაურობით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს შ. გორგოძეს და მის დაქვემდებარებულ საქართველოს მილიციას ფაქტობრივად უნდობლობა გამოუცხადა და იგი თვით იქცა საჯარისო ნაწილების დარბევის ობიექტად.

ი. როდიონოვის და მისთვის დაქვემდებარებული სამხედრო ნაწილების მოქმედება ობიექტურად არ იყო მიმართული მიტინგის დასაშლელად. ამას ადასტურებს შემდეგი გარემოებანი:

ა) მიტინგის დარბევა დაიწყო მაშინ, როდესაც მომიტინგეთა რაოდენობამ 10000-ს გადაამეტა.

ბ) დარბევის წინ მიტინგზე სრული სიმშვიდე სუფევდა; ადამიანები იდგნენ ანთებული სანთლებით ხელში, ლოცულობდნენ და მღეროდნენ, რაც უფრო მსხვერპლის შეწირვას ჰგავდა, ვიდრე აქტიურ წინააღმდეგობას.

გ) დარბევა დაიწყო ისე, რომ სამხედრო ხელისუფალთ მომიტინგეთათვის არ წარუდგენიათ ულტიმატუმი მიტინგის დაშლის მოთხოვნით.

დ) მიტინგის დასაშლელად სამხედრო ნაწილების უშუალო მოქმედების წინ არ იყო გამოყენებული ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ნაკლებად საშიში საშუალებანი (წყლის ჭავლის მიშვება და სხვა). ამგვარი ამოცანა ლენინის მოედანზე მდგარი სახანძრო მანქანებისათვის არ მიუციათ. ისინი უკან მიყვებოდნენ სამხედრო ტექნიკას და ევალებოდათ ჩაექროთ ხანძარი, თუ იგი გაჩნდებოდა.

ე) დარბევამდე მთავრობის სახლის წინ მოედნიდან ყველა გასასვლელი, გარდა ერთი — ქაშვეთის ეკლესიის მიმდებარე ვიწრო ქუჩისა, ბლოკირებული იყო სამხედრო მოსამსახურეებით და ტექნიკით. მომიტინგეებს ფაქტობრივად გასაქცევი გზა წინასწარ ჰქონდათ მოჭრილი.

ვ) სამხედრო ნაწილები ალყაში აქცევდნენ მომიტინგეებს და უმოწყალოდ სცემდნენ ხელკეტებით, ადამიანთა დასასახიჩრებლად სპეციალურად მომარჯვებული სასანგრე ხელბარებით; გამოყენებული იყო აკრძალული მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებანი და ცეცხლსასროლი იარაღიც. ჯარისკაცები მისდევდნენ გაქცეულებს, უცვივდებოდნენ შენობებში თავშეფარებულ მოქალაქეებს, ურტყამდნენ წაქცეულებს, არ ინდობდნენ ქალებს, არასრულწლოვანებს, მოხუცებს; ამსხვრევდნენ ვიტრინებს, განზრახ აზიანებდნენ სახელმწიფო და პირად ქონებას.

ზ) სამხედრო პირების მიერ დაშავებულთა და დასახიჩრებულთა შორის არიან მოშიმშილეები, მედიცინის თეთრხალათიანი მუშაკები, რომლებიც ადგილზე დახმარებას უწევდნენ დაზარალებულთ, და საქართველოს მილიციის უიარაღო მუშაკები, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ.

მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას შედეგად მოყვა 19 ადამიანის დაღუპვა, რომელთა შორის 16 ქალია (მათ შორის არის ორი არასრულწლოვანი და ერთი ორსული). სამხედრო პირთაგან არავინ დაღუპულა. აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე მიმდინარეობს ძიება გარდაცვლილთა რაოდენობის დასაზუსტებლად, ვინაიდან არსებობს საზოგადოებრივი აზრი მოკლულთა უფრო დიდი რიცხვის შესახებ.

ამრიგად, სრული სიყალბე აღმოჩნდა ი. როდიონოვის მიერ ჯ. პატიაშვილისათვის მიცემული დაპირება, რომ მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს არაფერი დაუშავდებოდათ.

2. თბილისში გენერალ-პოლკოვნიკ როდიონოვის ხელმძღვანელობით ჩატარებული ოპერაცია კონსტიტუციური და მოქმედი კანონმდებლობის სხვა ნორმების უხეში დარღვევაა:

სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტის თანახმად, „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.... სსრ კავშირის დაცვისა და მისი მოქალაქეების უშიშროების ინტერესებისათვის აცხადებს სამხედრო ან საგანგებო წესებს მთელ ქვეყანაში, აგრეთვე ცალკეულ ადგილებში. ამასთან აუცილებლად განიხილავს ამ საკითხს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად".

სამხედრო და საგანგებო წესების შემოღება სსრ კავშირის განსაკუთრებული კომპეტენციაა. მოკავშირე რესპუბლიკას ასეთი კომპეტენცია დამოუკიდებლად არ გააჩნია.

ამრიგად, სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული მიზნისათვის ჯარების შემოყვანის ერთადერთი სამართლებრივი საფუძველია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ. სსრკ თავდაცვის სამინისტროს განკარგულებით ჯარები ქალაქში შემოიყვანეს და მიტინგის დარბევა დაიწყეს ისე, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება სამხედრო ან საგანგებო წესების შემოღების შესახებ არ ყოფილა მიღებული, ე. ი. სამართლებრივი საფუძვლის გარეშე.

აქედან გამომდინარე, უხეშად დაირღვა სახელმწიფოს ძირითადი კანონის მოთხოვნა, რასაც უმძიმესი შედეგი მოჰყვა.

სსრკ უმაღლესი საბჭოს 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულება „სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლებების და მოვალეობათა შესახებ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს" შეიცავს იმ შემთხვევების ამომწურავ ნუსხას, როდესაც შინაგან ჯარებს შეუძლიათ იარაღის გამოყენება. ამ ნუსხის მიზანია მკაცრად შეიზღუდოს და შემოიფარგლოს იარაღის გამოყენება, მთლიანად აღიკვეთოს ჯარის ქვეგანაყოფების მეთაურთა მიერ ამ იარაღის თვითნებური გამოყენების შესაძლებლობა.

ბრძანებულების მე-6 მუხლის თანახმად, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შინაგანი ჯარების პირად შემადგენლობას დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებისას ეძლევა უფლება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორც უკიდურესი ზომა, გამოიყენოს იარაღი:

ა) მოქალაქეთა დაცვისათვის თავდასხმისაგან, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, თუ სხვა ხერხითა და საშუალებით მათი დაცვა შეუძლებელია;

ბ) განსაკუთრებით სარეჟიმო და სხვა მნიშვნელოვან ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისათვის, აგრეთვე დაცულ ობიექტებზე შეიარაღებული თავდასხმის მოგერიებისათვის;

გ) მილიციის მუშაკებზე, სახალხო რაზმელებსა და სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმის მოგერიებისათვის, როცა მათ სიცოცხლეს უშუალო საფრთხე ექმნება,

დ) დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისათვის, რომელიც შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევს, ან რომელსაც წაასწრეს განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩადენის დროს, როცა სხვა ხერხებითა და საშუალებებით ამ პირთა დაკავება შეუძლებელია".

ასეთია იარაღის გამოყენების შემთხვევათა ამომწურავი ნუსხა. ყველა სხვა შემთხვევაში შინაგანმა ჯარებმა წესრიგი უნდა დაამყარონ იარაღის გამოუყენებლად.

ზემოთ ჩამოთვლილი არც ერთი შემთხვევა 1989 წლის 9 აპრილს ქ. თბილისში არ ყოფილა.

ამრიგად, დარღვეულია ზემოთ მითითებული ბრძანებულების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი: იარაღი გამოიყენეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს აკრძალულია ბრძანებულებით.

იარაღად, კერძოდ გამოიყენეს:

ა) ალესილი ხელბარები, რომელიც ცივი იარაღია, თუ იგი სპეციალურადაა მომარჯვებული ადამიანის დასასახიჩრებლად. დამხმარე სახელმძღვანელოში „ქვეგანაყოფებში მეცადინეობის ჩატარების შესახებ" პირდაპირ ნათქვამია: „ხელბარი საიმედო იარაღია ისეთ ჯარისკაცის ხელში, რომელიც ხელჩართულ ბრძოლაში ჩაება კარაბინისა და ავტომატის გარეშე. ხელბარით უნდა მივაყენოთ ალესილი გვერდიდან ჩამჭრელი დარტყმები თავის არეში, კისერში ან მკლავში".

დადგენილია სწორედ ასეთი დარტყმების შედეგად მოქალაქეთა დახოცვისა და მძიმე ჭრილობის მიყენების შემთხვევები.

ბ) ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ქვეკომისიის დასკვნით დადგენილია, რომ ქ. თბილისში 9 აპრილს მიტინგის დაშლის დროს საჯარისო ქვეგანაყოფებმა გამოიყენეს:

სხვადასხვა სახის „ჩერიომუხა", რომელიც ძირითადად შეიცავდა მომწამვლელ ნივთიერებას — ქლორაცეტოფენონს (ქაფი);

უფრო ძლიერი მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება „სი-ესი";

ქლორპიკრინი, რომლის შემცველობა დადგინდა თანამედროვე დიდეფექტიანი მეთოდების გამოყენებით.

ამავე დროს პათოლოგო-ანატომიური გამოკვლევები და 9 აპრილს დაღუპულთა და დაზიანებულთა კლინიკური სურათი ვერ თავსდება მხოლოდ „ქაფისა" და „სი-ესის" მოქმედების ჩარჩოებში. ამიტომ გამორიცხული არაა ისეთი უფრო ძლიერი მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენება, რომელიც ნერვული სისტემის სპეციფიკური რეცეპტორების ბლოკირებას ახდენს.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას ადასტურებენ მოსკოველი და ლენინგრადელი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის სპეციალისტებისა და წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ სამხედრო პროკურატურის მიერ გადმოცემულ ნიმუშებში „ჩერიომუხისა" და „სი-ესის" გარდა ქვეკომისიამ აღმოაჩინა ისეთი ნივთიერებანი, რომელთა იდენტიფიკაცია მან ვერ შეძლო; ყველა ისინი შეიცავენ ისეთ კომპონენტებს, რომლებიც რეცეპტურის მიხედვით არ უნდა შედიოდნენ მათში.

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურმა ქვეკომისიამ დაადგინა „ქაფისა" და „სი-ესის" ადგილისა და რაოდენობის გამოყენების სქემა დაწყებული მთავრობის სახლის წინ მდებარე მოედნიდან და დამთავრებული რესპუბლიკის მოედნით.

ქიმიური ნივთიერებების — „სი-ესის" (К-51) და ქლორპიკრინის გამოყენება აკრძალულია მაშინაც კი, როცა იარაღის გამოყენება დაიშვება კანონმდებლობით. იმ სპეციალური საშუალებების ნუსხაში, რომელთა გამოყენება შეუძლიათ შინაგან ჯარებს, არ არის არც „სი-ესი" (К-51) და არც ქლორპიკრინი. სწორედ აკრძალული ქიმიური საშუალებების გამოყენებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგი: 19 დაღუპული ადამიანიდან თორმეტის სიკვდილი გამოწვეული იყო მხოლოდ გაგუდვით, რაც გამოიწვია მომწამვლელი ქიმიური ნივთიერებების შესუნთქვამ. ეს დასტურდება აუტოფსიის მასალების მიკროსკოპული შესწავლით და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის და სამედიცინო კომისიის დასკვნებით. სამი ადამიანი დაიღუპა მძიმე მოწამვლის შედეგად, რომელიც გართულებული იყო მექანიკური ტრავმებით და თავის არეში მიყენებული ისეთი ჭრილობებით, რომლებმაც ტვინის დაზიანება გამოიწვია.

ქიმიური ნივთიერებებით მოწამვლის გამო სამედიცინო დახმარებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს მიმართა 4000-ზე მეტმა მოქალაქემ, რომელთა შორის 500-ზე მეტს სტაციონარულად მკურნალობდნენ, 3328 მოქალაქეს კი ამბულატორიულად.

რიგ შემთხვევებში ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული მოწამვლა წარმოდგენილია საკმაოდ მძიმედ და პათოლოგიურ მდგომარეობათა მიმდინარეობა ხანგრძლივია. ამის გამო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სისტემაში ჩამოყალიბდა სპეციალიზებული დისპანსერული განყოფილება, სადაც აღნიშნულ ავადმყოფებს მკურნალობენ და სამედიცინო მეთვალყურეობას უწევენ. უცხოელი და საბჭოთა სპეციალისტების აზრით, დისპანსერული მეთვალყურეობა რამდენიმე წლიწადს უნდა გაგრძელდეს.

მძიმედ მოწამლულთა ნაწილი მკურნალობას გადის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამრიგად, სახეზე გვაქვს დანაშაული, რომელიც შეიცავს მკვლელობის ნიშნებს, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და ისეთი საშუალებებით, რომლებიც საშიშროებას უქმნის მრავალთა სიცოცხლეს (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-6 პუნქტი).

აკრძალული ქიმიური ნივთიერების გამოყენების შესახებ ბრძანება შეეძლო გაეცა მხოლოდ გენერალ-მაიორ ი. ეფიმოვს. ამიტომ სწორედ მას და ოპერაციის საერთო ხელმძღვანელს ი. როდიონოვს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნული დანაშაულისათვის.

გ) ალესილი ხელბარებისა და მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გარდა 9 აპრილს გამოყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღიც. ამას ადასტურებს დავით ირაკლის ძე ფაილოძის შემთხვევა: იგი მძიმედ დაჭრეს თავის არეში ცეცხლსასროლი იარაღით. მან დაკარგა ორივე თვალი, მისი სიცოცხლე საფრთხეშია და ამჟამად საფრანგეთში მკურნალობს.

ამრიგად, დ. ფაილოძის მიმართ ჩადენილია სისხლის სამართლის დანაშაული დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის მცდელობის სახით. ამ საქმეს იძიებს სსრკ სამხედრო პროკურატურა.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების თანახმად, „აკრძალულია იარაღის გამოყენება ქალთა და არასრულწლოვანთა მიმართ — მათგან შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევების გარდა". ამის საპირისპიროდ 19-დან სწორედ 16 ქალია დაღუპული; დასახიჩრებულთა და მოწამლულთა უმრავლესობაც ახალგაზრდა გოგონები არიან.

4. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული.

ისევე, როგორც წინა დღეებში, 9 აპრილსაც შესაბამისი ორგანოების დავალებით მთავრობის სახლის წინ მოედანზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად განლაგებული იყვნენ მილიციის თანამშრომლები. დღეს საყოველთაოდაა ცნობილი, რომ მათი თავგანწირული მოქმედების შედეგად დაღუპვას გადარჩა მრავალი ასეული ადამიანი. მილიციის ბევრი თანამშრომელი მძიმედ დაშავდა და საავადმყოფოში მოათავსეს. თუმცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 ივლისის ბრძანებულების მე-6 მუხლის თანახმად შინაგანი ჯარები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ მილიციის მუშაკებს, როცა მათ თავს ესხმიან, თბილისში 9 აპრილს მოხდა პირიქით. სამხედრო პირები დაესხნენ თავს მილიციის მუშაკებს და დაუზოგავად დაუწყეს მათ ცემა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ცდილობდნენ სიკვდილის პირას მყოფი ახალგაზრდები როგორმე სასწრაფო დახმარების მანქანამდე მიეყვანათ.

ამრიგად, ამ შემთხვევაში სახეზეა დანაშაულის ნიშნები, სახელდობრ, მილიციის მუშაკთა სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა მათ მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს.

5. ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ სამხედრო პირები ხელს უშლიდნენ სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ბრიგადებს, თეთრხალათიან მედიცინის მუშაკებს დახმარება აღმოეჩინათ დაშავებულთათვის; ამსხვრევდნენ სასწრაფო დახმარების მანქანებს. ყოველივე ამის შედეგად დაშავებულთა შორის არიან მედიცინის მუშაკებიც. ეს მოქმედება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

ყოველივე ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა დავასკვნათ:

მიტინგის ალკვეთის უკანონო გადაწყვეტილება შესრულდა დანაშაულებრივი მეთოდებითა და საშუალებებით. ეს იყო არა მიტინგის გარეკვა, არამედ დამსჯელი ოპერაცია, რომელსაც განსაკუთრებით მძიმე შედეგი მოჰყვა, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკისროს ი. როდიონოვს, როგორც აღნიშნული დანაშაულებრივი ოპერაციის ორგანიზატორს. აგრეთვე მის დამხმარე გენერლებს ი. კუზნეცოვსა და ი. ეფიმოვს.

ამ უმძიმესი დანაშაულის უშუალო წამქეზებლებისა და კონკრეტული აღმსრულებლების ვინაობა, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული უნდა გამოიძიოს და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დაადგინოს სსრკ პროკურატურამ.

კომისიამ ცნობად მიიღო, რომ ზოგიერთი სამხედრო პირის მიმართ, რომლებსაც ბრალი მიუძღვით 9 აპრილს მიტინგის დარბევის დროს ჩადენილ კონკრეტულ დანაშაულში, საქმეს იძიებს სამხედრო პროკურატურა.

არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერების დანაშაულის გამო საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 206^3 მუხლით საქმეს იძიებს საქართველოს სსრ პროკურატურა.

III

სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა მოქმედების კანონიერება 9 აპრილის მიტინგის ალკვეთის შემდეგ

9 აპრილს დილის 10 საათსა და 25 წუთზე ჯ. პატიაშვილმა სკპ ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა დეპეშა, რომლის ტექსტი მოამზადა ბ. ნიკოლსკიმ. დეპეშაში მიტინგის ალკვეთის შემდეგ რესპუბლიკის დედაქალაქში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ნორმალიზაციის მიზნით რესპუბლიკის ხელმძღვანელობა სკპ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვს კომენდანტის საათის შემოღებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომენდანტის საათის შემოღებამდე ქ. თბილისში შემოსული საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფებმა მოახდინეს ქალაქის ფაქტობრივი ოკუპაცია, მოქალაქეთა კუთვნილი ავტომანქანების განზრახ დაზიანება და სხვა ამგვარი თვითნებობა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამხედრო პირთა მიერ არასრულწლოვანთა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა. 9 აპრილს, დაახლოებით 18 საათსა და 15 წუთზე, ე. ი. ჯერ კიდევ კომენდანტის საათის შემოღებამდე, თბილისში, კახეთის გზატკეცილზე, კინოთეატრ „ბათუმთან" ახლოს გამვლელმა სამხედრო ნაწილებმა უმიზეზოდ სროლა აუტეხეს ქუჩაში მოთამაშე ბავშვებს, დაჭრეს ფეხში 15 წლის დათო მხატრიშვილი. ამის დანახვაზე იქვე მყოფი 12 წლის ლევან ჩანადირი შეშინებული მოახტა თავის ველოსიპედს, რათა იქაურობას გასცლოდა. ამ დროს მას მოხვდა ოფიცრის მიერ ნასროლი ტყვია დუნდულაში და იგი საავადმყოფოში მოათავსეს. თუმცა ბავშვს ინტენსიური სისხლის დენა ჰქონდა, სამხედრო მოსამსახურეებმა ავტომატები მიუშვირეს ხალხს და არ მისცეს ბავშვის აყვანის საშუალება, სანამ კოლონამ არ გაიარა.

მაშასადამე, ჩადენილია ორი არასრულწლოვანის მკვლელობის მცდელობა, მაშინ, როდესაც საბჭოთა კანონმდებლობით არასრულწლოვანების მიმართ იარაღის გამოყენება საერთოდ დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი იარაღით ესხმიან თავს სხვებს. ამ საქმეს იძიებს სსრ კავშირის სამხედრო პროკურატურა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მოამზადა კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ბრძანებულების პროექტი, რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და თავისი 1989 წლის 9 აპრილის დადგენილებით ბრძანებულების პროექტი განსახილველად გადასცა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

იმავე დღეს, 19 საათზე მოიწვიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები: ი. ანდრიაძე, ვ. ბლაჟიევსკი, ზ. კვაჭაძე, გ. კოჩოიანი, ჯ. მარგველიძე, კ. მამედოვი, მ. მეზვრიშვილი, რ. ჩიხლაძე. პრეზიდიუმის საერთო შემადგენლობის 19 წევრიდან სხდომას დაესწრო 11.

პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ვ. კვარაცხელიას ჩანაწერიდან ირკვევა, რომ სხდომაზე ინფორმაციით გამოვიდა ო. ჩერქეზია. მან აღნიშნა, რომ „ამჟამად ქალაქში რთული, დაძაბული ვითარებაა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საჭიროდ მიაჩნია შექმნილი ვითარების გათვალისწინებით ქალაქში კომენდანტის საათის შემოღება. ამიტომ საკითხი შემოგვაქვს თქვენს განსახილველად". აზრი გამოთქვეს ზ. კვაჭაძემ, ჯ. მარგველიძემ, მ. მეზვრიშვილმა, ვ. კვარაცხელიამ, რ. ჩიხლაძემ, ი. ანდრიაძემ, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ქალაქში კომენდანტის საათის შემოღებას. ამ წინადადების წინააღმდეგ არავის გამოუთქვამს მოსაზრება.

სხდომაზე აღინიშნა, რომ კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე ინფორმირებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ლუკიანოვი.

ამრიგად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1989 წლის 9 აპრილს 19 საათზე ერთხმად მიიღო ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ. ბრძანებულებაში ვკითხულობთ: "შექმნილი ვითარების გათვალისწინებით შემოღებულ იქნეს ქ. თბილისში საკომენდანტო საათი 1989 წლის 9 აპრილიდან".

იმავე დღეს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიამ" ცენტრალური ტელევიზიით გადმოსცა ცნობა 9 აპრილს დილით თბილისში მომხდარი ამბების შესახებ, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ რესპუბლიკის დედაქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი. საინფორმაციო პროგრამა „ვრემიას" დამთავრების შემდეგ 22 საათსა და 52 წუთზე საქართველოს ტელევიზიით გამოვიდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი. მან განაცხადა, რომ იგი დანიშნულია ქ. თბილისის სამხედრო კომენდანტად და, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქ. თბილისში 9 აპრილის 23 საათიდან წესდება კომენდანტის საათი. ი. როდიონოვმა თავისი გამოსვლა დაამთავრა 22 საათსა და 56 წუთზე, ე. ი. 4 წუთით ადრე, ვიდრე კომენდანტის საათი ძალაში შევიდოდა (აუცილებელია აღინიშნოს, რომ ი. როდიონოვის გამოსვლის ჩაწერა დასრულდა კომენდანტის საათის გამოცხადებამდე 14 წუთით ადრე).

1989 წლის 10 აპრილს საკდესმა საკავშირო პრესის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია თბილისში მდგომარეობის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკური ორგანოების გადაწყვეტილებით ქალაქში შემოღებულია კომენდანტის საათი (გაზ. „იზვესტია", 1989 წლის 10 აპრილი).

1989 წლის 11 აპრილს რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდა ი. როდიონოვის მიმართვა ქ. თბილისის მოსახლეობისა და მშრომელებისადმი, რომელიც 9 აპრილის მის სატელევიზიო გამოსვლას იმეორებდა.

1989 წლის 16 აპრილს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით (ტელევიზიით, რადიოთი) გადაიცა სამხედრო კომენდანტის ცნობა, სადაც აღნიშნულია: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს რეკომენდაციით მიღებულია გადაწყვეტილება, შემცირდეს კომენდანტის საათის ხანგრძლივობა. 16 აპრილიდან კომენდანტის საათი იმოქმედებს 24 საათიდან დილის 5 საათამდე". რესპუბლიკურმა პრესამ ეს გამოაქვეყნა 17 აპრილს (გაზ. „კომუნისტი", 1989 წლის 17 აპრილი).

1989 წლის 17 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გამოიტანა დასკვნა, რომ 1989 წლის 18 აპრილიდან ქალაქში შეიქმნა კომენდანტის საათის სრული გაუქმების პირობები და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რეკომენდაცია მისცა, მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია, თავმჯდომარის მოადგილე თ. კაბულოვა, მდივანი ვ. კვარაცხელია და პრეზიდიუმის წევრები: ი. ანდრიაძე, ბ. ვამაკიძე, ვ. ბლაჟიევსკი, ზ. კვაჭაძე, გ. კოჩოიანი, კ. მამედოვი, მ. მეზვრიშვილი, თ. პაპიაშვილი, რ. ჩიხლაძე. რაიმე ჩანაწერი პრეზიდიუმის სხდომის მიმდინარეობის შესახებ არ არსებობს. პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი შინაარსის ბრძანებულება: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებით ქალაქ თბილისში შემოღებული საკომენდანტო საათი გაუქმდეს 1989 წლის 18 აპრილის 5 საათიდან".

აღნიშნული ბრძანებულების ტექსტი იმავე დღეს გადაიცა ტელევიზიითა და რადიოთი, პრესაში გამოქვეყნდა 18 აპრილს (გაზ. „თბილისი", 1989 წ. 18 აპრილი).

ასეთია მიმდინარე წლის აპრილში თბილისში საკომენდანტო საათის შემოღებისა და გაუქმების ფაქტობრივი გარემოებანი.

საკომენდანტო საათი განსაკუთრებული ზომაა, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქეთა და ორგანიზაციათა ცხოვრებისა და საქმიანობის სპეციალურ წესებს მთელ ქვეყანაში ან მის ცალკეულ ადგილებში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 22 ივნისის ბრძანებულების თანახმად, სამხედრო მდგომარეობის გამოცხადება ხდება სსრ კავშირის თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო უშიშროების ინტერესებისათვის. სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ყველა ფუნქცია თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და სახელმწიფო უშიშროების სფეროში გადადის შესაბამისი ტერიტორიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს ხელში.

ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მე-3 პუნქტში დეტალურადაა გადმოცემული ის წესები, რომლებსაც საკომენდანტო საათის ცნების შინაარსი მოიცავს. სახელდობრ, დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის დროის განსაზღვრა, ქუჩაში მოძრაობის, მოქალაქეთა მიმოსვლის აკრძალვა განსაზღვრული დროის შემდეგ, აუცილებლობის შემთხვევაში ჩხრეკისა და მოქალაქეთა დაკავების წარმოება, სამხედრო მდგომარეობაში არსებულ ტერიტორიაზე შესვლისა და გასვლის შეზღუდვა და ა. შ.

მაშასადამე, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კომენდანტის საათი შემოღებულ უნდა იქნეს მას შემდეგ, როცა გამოცხადდება სამხედრო მდგომარეობა.

ვინაიდან სამხედრო მდგომარეობა გულისხმობს განსაკუთრებულ სამართლებრივ რეჟიმს, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს მთელი რიგი კონსტიტუციური ნორმების მოქმედებას, მისი გამოცხადების უფლებამოსილება 1977 წლის სსრ კავშირის კონსტიტუციით (მასში გასული წლის 1 დეკემბრის შეტანილ ცვლილებამდე) ეკუთვნოდა მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს (121-ე მუხლის მე-15 პუნქტი). მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მოთხოვნით სსრ კავშირის კონსტიტუციაში 1988 წლის 1 დეკემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შემდეგ სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება, მართალია, კვლავ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებაში დარჩა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ამ საკითხს აუცილებლად განიხილავს შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან ერთად (119-ე მუხლის მე-14 პუნქტი). მაშასადამე, მოკავშირე რესპუბლიკას სამხედრო ან საგანგებო წესების დამოუკიდებლად გამოცხადების და შესაბამისად კომენდანტის საათის შემოღების უფლება არა აქვს. მას შეუძლია მხოლოდ გამოთქვას თავისი წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტისას.

1989 წლის აპრილში ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღებასთან დაკავშირებით არსებული ფაქტობრივი გარემოებებისა და ამ საკითხის შესახებ არსებული კანონმდებლობის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ შემდეგი ხასიათის დასკვნები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულება ქ. თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ ანტიკონსტიტუციური აქტია, რადგან რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს არც სსრ კავშირის და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციებით ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირებმა გადაამეტეს ხელისუფლებას, მიიღეს ისეთი სამართლებრივი აქტი, რომელიც აშკარად სცილდება მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა ფარგლებს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მუშაკებმა არ მიიღეს ზომები კომენდანტის საათის შემოღების თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისათვის, რითაც უხეშად დაარღვიეს „საქართველოს სსრ კანონების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა აქტების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებისა და დადგენილებების გამოქვეყნებისა და ძალაში შესვლის წესის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1959 წლის 4 მარტის ბრძანებულების მე-2 პუნქტი). ამ პუნქტის თანახმად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის აქტები, რომლებიც ფართო და დაუყოვნებლივ გამოქვეყნებას მოითხოვს, იბეჭდება რესპუბლიკურ გაზეთებში „კომუნისტში" და „ზარია ვოსტოკაში", აგრეთვე შეიძლება გამოქვეყნდეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თანამდებობის პირთა დაუდევრობის გამო, თბილისის მოსახლეობა კომენდანტის საათის ძალაში შესვლამდე არ იყო ინფორმირებული ქალაქში ასეთი ღონისძიების შემოღების შესახებ. უფრო მეტიც, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული ბრძანებულების ტექსტი პრეზიდიუმის სახელით რესპუბლიკურ გაზეთებში არ გამოქვეყნებულა, არ გადაუციათ ტელევიზიითა და რადიოთი.

ამ გარემოებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აპრილის ბრძანებულებაში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ არ იყო განსაზღვრული ბრძანებულებით გათვალისწინებული ღონისძიების ძალაში შესვლის საათი.

3. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1989 წლის 9 აპრილს მიღებული ბრძანებულება თბილისში კომენდანტის საათის შემოღების შესახებ სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს და ამდენად ანტიკონსტიტუციური აქტია, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს არ გამოუცხადებია ქ. თბილისში სამხედრო ან საგანგებო მდგომარეობა (ან თუნდაც კომენდანტის საათი), სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს სათანადო სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნდა და შესაბამისად არც უფლება ჰქონდა ქ. თბილისის კომენდანტად დაენიშნა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. როდიონოვი, ხოლო ამ უკანასკნელს — განეხორციელებინა კომენდანტის საათით გათვალისწინებული საგანგებო ღონისძიებანი.

4. გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა ჯეროვნად ვერ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა და კომენდანტის საათით გათვალისწინებული წესების შემოღება თბილისის მოსახლეობას აუწყა ამ ღონისძიების ძალაში შესვლამდე 4 წუთით ადრე, რის გამოც მრავალი თბილისელი, აგრეთვე სხვა ადგილებიდან თბილისში ჩამოსული მოქალაქეები, რომლებმაც ვერ მოისმინეს სატელევიზიო გადაცემა და შემთხვევით ქუჩაში აღმოჩნდნენ, უნებლიედ გახდნენ სამართალდამრღვევნი.

5. საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირების, აგრეთვე პირადად გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდიონოვის კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას მოჰყვა განსაკუთრებით მძიმე შედეგები (კომენდანტის საათის გამოცხადების პირველივე წუთებში სამხედრო მოსამსახურეებმა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მოკლეს ერთი მოქალაქე — გია ქარსელაძე და დაჭრეს რამდენიმე მოქალაქე). ამიტომ სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და საქართველოს სსრ პროკურატურის წინაშე დაისვას საკითხი ზემოაღნიშნულ თანამდებობის პირთა დანაშაულებრივი დაუდევრობისა და ხელისუფლების გადამეტებისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

6. მიუტევებელი ხარვეზებია სსრ კავშირის კანონმდებლობაში, რომელიც საგანგებო მდგომარეობისათვისაა გათვალისწინებული. სამხედრო წესების შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტი მიღებულია თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ, და, ბუნებრივია, შესაბამისი ეპოქის სულისკვეთებას გამოხატავს. სსრ კავშირის კონსტიტუციის 119-ე მუხლით სულ ახლახან შემოღებული ინსტიტუტების „საგანგებო წესებისა" და „მართვის განსაკუთრებული ფორმების" შინაარსი ჯერჯერობით არცერთი ნორმატიული აქტით არ არის განსაზღვრული; ასევე ბოლომდე გაურკვეველია ამჟამად პრაქტიკაში დანერგილი საგანგებო ღონისძიების — კომენდანტის საათის შემოღების პირობები და პროცედურა.

ცივილიზებულ სამართლებრივ სახელმწიფოში კანონიერების რეჟიმი უნდა მოქმედებდეს როგორც ნორმალურ, ისე განსაკუთრებულ პირობებში. ამისათვის აუცილებელია უმოკლეს ვადებში შეიქმნას სპეციალური კანონმდებლობა.

კანონიერების დარღვევის შემთხვევები იყო როგორც კომენდანტის საათის პირობებში, ისე მისი გაუქმების შემდეგაც. 17 აპრილს სტუდენტებისა და თანამშრომლების მოწამვლასთან დაკავშირებით თეატრალური ინსტიტუტის შენობა შეამოწმეს სამხედრო სპეციალისტებმა. ამ საგამოძიებო მოქმედებას ხელმძღვანელობდნენ ამიერკავკასიის სამხედრო პროკურორის მოადგილე, იუსტიციის პოლკოვნიკი ი. კლიმოვი და ამავე პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების სამხედრო [illegible] ვერციუხი. ამ მოქმედების შესრულებაში მონაწილეობდნენ სპეციალისტები, გენერალ-მაიორი [illegible] რკოვი, ლეიტენანტ-[illegible], რომლებიც გაფრთხილებული იყვნენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 134^1 მუხლით.

მათ დაადგინეს, რომ შენობაში არ არის რაიმე მომწამვლელი ნივთიერების ნარჩენები. ამის შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში სწავლა აღდგა, რასაც შედეგად მოჰყვა რამდენიმე ათეული სტუდენტისა და თანამშრომლის მოწამვლა. მძიმე მოწამვლის შედეგად მიღებული გართულებების გამო მოგვიანებით გარდაიცვალა შ. გოციძე. აუცილებელი გახდა განმეორებითი გამოკვლევა, რომელიც მიენდო საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ლაბორატორიას. 22 აპრილის შემოწმებით შენობაში აღმოჩნდა ქლორაცეტოფენონი და სხვა მომწამვლელი ნივთიერებანი. ინსტიტუტის შენობაში გამოკვლევა ჩაატარა აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურმა ქვეკომისიამ სამხედრო სპეციალისტებთან ერთად, რომელმაც აღმოაჩინა როგორც ქლორაცეტოფენონი, ისე „სი-ესი" (К-51).

აქ საქმე გვაქვს სერიოზულ სამართალდარღვევასთან.

დანაშაულებრივ აქტად უნდა იყოს განხილული სამხედრო ხელისუფალთა მიერ მომწამვლელი ქიმიური ნივთიერების გამოყენების ფაქტისა და ამ ნივთიერებათა ბუნების დამალვა.

ქლორაცეტოფენონის (ქაფის) გამოყენება შინაგანმა ჯარებმა და სამხედრო უწყებებმა აღიარეს მხოლოდ 1989 წლის 14 აპრილს, ხოლო „სი-ესის" გამოყენება — მხოლოდ 1989 წლის 3 მაისს. იმის შესახებ, რომ გამოყენებულ იქნა მესამე მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება ქლორპიკრინი, დღემდე არ არის ოფიციალური ცნობა.

ინფორმაციის უქონლობამ, ბუნებრივია, გამოიწვია საყოველთაო აღშფოთება, ავადმყოფთა დიდმა ჯგუფმა გამოაცხადა შიმშილობა, ხოლო შემდგომში ავადმყოფთა თანხმობით ისინი სოლიდარობის ნიშნით შეცვალეს ჯანმრთელმა ახალგაზრდებმა არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს სხვა ქალაქებში.

29 აპრილს გადაწყდა ოფიციალური სამგლოვიარო ცერემონიის გადატანა მთავრობის სახლის წინა მოედნიდან სიონის ტაძარში. გვირგვინებისა და ყვავილების გადატანის დროს კვლავ მასობრივად მოიწამლნენ მოქალაქენი. ასევე მასობრივი მოწამვლა მოხდა №1 საშუალო სკოლაშიც.

ადამიანთა მასობრივი მოწამვლის მეორე ტალღა აიხსნება შემდეგი გარემოებით: ქლორაცეტოფენონისა და ქლორპიკრინის სიმტკიცე საკმაოდ მაღალია; „სი-ესის" სიმტკიცე ორი კვირაა, ხოლო მისი ერთ-ერთი სახეობის „სი-ეს-2"-ისა 1 თვემდე. ეს ნივთიერებები, რომლებიც იყო მყარი ან თხევადი, 9 აპრილს ხმარების დროს ჩაიმარხა მიწაში. შემდგომში მიწა დაიფარა გვირგვინებითა და ყვავილებით; ყვავილების გატანის დროს შეიქმნა მეტი პირობები მათი აორთქლებისათვის, რამაც გამოიწვია მასობრივი მოწამვლა.

კომისიას მიაჩნია: ცივილიზებული სამყაროს ისტორიაში ძნელად მოიძებნება მეორე ისეთი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს მომწამვლელი ქიმიური ნივთიერება გამოეყენებინოს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ. ასევე შეუძლებელია პრეცედენტი მოეძებნოს ისეთ შემთხვევას, როდესაც სამხედრო უწყების წარმომადგენლები უმალავენ ექიმებს გამოყენებული ქიმიური ნივთიერების შედგენილობას, რითაც ხელს უშლიან ეფექტიან მკურნალობას.

IV

პრესა 9 აპრილის მოვლენათა შესახებ

თბილისში 9 აპრილს მომხდარი ტრაგიკული მოვლენები იქცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პროფესიონალიზმის, ზნეობრიობისა და ობიექტურობის თავისებურ გამოცდად. საკავშირო და რესპუბლიკური პრესის სარკეში აისახა მთელი იდეოლოგიური მუშაობის შეცდომები და ნაკლოვანებანი, გამომჟღავნდა დიქტატი პარტიული ხელმძღვანელობისა, რომელსაც არ აღმოაჩნდა არც უნარი და არც სურვილი მოესმინა ალტერნატიული მოსაზრებები. პრესისადმი ხელმძღვანელობის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სტილი განსაკუთრებით სრულად გამოვლინდა მიტინგის დარბევის პირველი დღეებიდან. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმამდე, რომელმაც პოლიტიკური შეფასება მისცა თბილისის მოვლენებს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიურმა სამსახურმა (ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ფოფხაძე) ჟურნალისტებს მკაცრი ცენზურა დაუწესა. ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ბრიფინგებს ანტიდემოკრატიული ხასიათი ჰქონდა; აშკარა ზეგავლენას ახდენდნენ, ოღონდ როგორმე დაემალათ საზოგადოებრიობისაგან ტრაგედიის მიზეზები და მასშტაბები და ცალმხრივი პოლიტიკური შეფასება მიეცათ მისთვის. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკური პრესა ცალკეულ შემთხვევებში მაინც ახერხებდა მოვლენები ობიექტურად წარმოედგინა. არ შეიძლება არ აღინიშნოს ახალგაზრდული გაზეთებისა და რიგი გამოცემების მოქალაქეობრივი ვაჟკაცობა (განსაკუთრებით გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიაში" ი. როსტის წერილი), რომლებიც ცდილობდნენ კომენდანტის საათისა და ცენზურის პირობებშიც კი მართლად და ობიექტურად აესახათ მოვლენები, მიზეზების რთული კომპლექსი, რომლებმაც განაპირობეს ტრაგედია. ამ ფონზე მკვეთრ უარყოფით შეფასებას იმსახურებს 1989 წლის 14 აპრილს კომენდანტის საათისა და სამხედრო ცენზურის პირობებში გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" (რედაქტორი — ა. იოსელიანი) გამოქვეყნებული სტატია: „ჩვენი ვალია საქართველოს დავუბრუნოთ სიმშვიდე", რომელიც გადაიბეჭდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში" წყაროზე მითითების გარეშე (რედ. ვ. ანასტასიადი). ამ სარედაქციო სტატიაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ თბილისის მიტინგი მშვიდობიანი არ იყო, რომ აპრილის მოვლენები ავანტიურისტებმა და დემაგოგებმა წამოიწყეს, რომ არსებობდა ხელისუფლების დამხობის რეალური საფრთხე, ხოლო ძალის გამოყენების გადაწყვეტილება ყოველმხრივ დასაბუთებული და გამართლებული იყო. სტატიის პუბლიკაცია სწორედ რუსულ გაზეთ „ზარია ვოსტოკაში" და არა ქართულ „კომუნისტში", რომელიც, ჩვეულებრივ, ყველა უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენას აფასებს ხოლმე, გვარწმუნებს — იგი იმთავითვე გათვალისწინებული იყო განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. როგორც შემდგომში გამოირკვა, სტატია ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მეორე მდივნის ბ. ნიკოლსკის პირდაპირი მითითებით დაიწერა და დაიბეჭდა, ხოლო სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე გენერალ-პოლკოვნიკმა ი. როდიონოვმა დაწვრილებით მოიყვანა მისი ციტატები სამხედროთა მოქმედების გასამართლებლად; ასევე სამხედრო პრესამაც ესა და „ზარია ვოსტოკას" და „ვეჩერნი ტბილისის" კიდევ რამდენიმე იმავე პერიოდის ტენდენციური პუბლიკაცია გამოიყენა მთავარ არგუმენტად თბილისის მოვლენების გასაყალბებლად და ფართო საზოგადოებრიობის დეზინფორმაციისათვის.

ამ სტატიის პუბლიკაციის თაობაზე რედაქციის ახსნა-განმარტება უკვე ყრილობის მსვლელობის დროს, ე. ი. თითქმის ორი თვის შემდეგ დასტამბვის დღიდან და ისიც მხოლოდ როდიონოვის გამოსვლასთან დაკავშირებით, არ შეიძლება ჩაითვალოს წინათ დაშვებული შეცდომის სერიოზული და პატიოსანი გაანალიზების მისწრაფებად.

კომისია ყურადღებას ამახვილებს ამ პერიოდში მოსკოველ კორესპონდენტთა ჯგუფის თბილისში ყოფნის ფაქტზე. როგორც ირკვევა, მათზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდა საქართველოს კპ ცკ-ის ხელმძღვანელობა, რათა საკავშირო პრესის ფურცლებზე არ ეთქმულიყო სიმართლე თბილისის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ცენტრალური პრესა და ტელევიზია, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ან ზემოდან დოზირებული, ძუნწი და არაობიექტური ინფორმაციით იფარგლებოდა, ან აშკარა სიცრუეს აქვეყნებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გაზეთები „კრასნაია ზვეზდა", „სოვეტსკი პატრიოტი", „მედიცინსკაია გაზეტა", „პიონერსკაია პრავდა", „ლიტერატურნაია როსია", „სელსკაია ჟიზნი" და სხვანი.

ქართველი ხალხის წინააღმდეგ სიცრუის კამპანიის გაჩაღებასა და სინამდვილის დამახინჯებაში

(დასასრული მე-4 გვ.).

ერის სამსჯავროზე...

(დასასრული)

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის გაზეთმა „ლენინსკოე ზნამია". იგი ნომრიდან ნომერში ბეჭდავდა ყალბ და ტენდენციურ მასალებს, მრავალსტრიქონიან ბლოკებსა და სტატიების ციკლს, რომლებიც ცალმხრივად აშუქებდა რა თბილისის მოვლენებს, გამიზნული იყო სარდლისა და სამხედრო ნაწილების მოქმედების დასაცავად. გაზეთი ტრაგედიაში ბრალს სდებდა მხოლოდ არაფორმალურ გაერთიანებათა ლიდერებს, აკრიტიკებდა სახალხო დეპუტატებს და მათ გამოსვლებს, რესპუბლიკურ პრესას, შეურაცხყოფდა ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებს. „ლენინსკოე ზნამიას" პუბლიკაციების ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ: გაზეთის რედაქცია ამჟღავნებს ზნეობრივ-პოლიტიკურ უპასუხისმგებლობასა და უპრინციპობას, უგულვებელყოფს პროფესიული ეთიკის ელემენტარულ ნორმებს და, რაც ყველაზე მთავარია, აშკარად აღვივებს ეროვნებათა შორის შუღლს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს 1989 წლის აპრილის თვეში საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს მოწვევით თბილისში სსრკ სახალხო დეპუტატთა — ე. იაკოვლევის, ა. გელმანის, ბ. ვასილიევისა და ლუნკოვის ჩამოსვლა. დეპუტატები უშუალოდ გაერკვნენ 9 აპრილის მოვლენებში, რასაც შედეგად მოყვა „მოსკოვსკიე ნოვოსტიში" საკავშირო პრესის ფურცლებზე პირველი სრული და ობიექტური ინფორმაცია თბილისის ტრაგედიის შესახებ. ასევე საყურადღებოა სიმართლის დადგენის ტენდენციით გამსჭვალული მასალები საკავშირო გაზეთებსა და სატელევიზიო გადაცემებში — „ნედელია", „ვზგლიადი" და „დო ი პოსლე პოლუნოჩი". აღსანიშნავია აგრეთვე ქართველ კინემატოგრაფისტთა მიერ მოსკოვში სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირში საკავშირო და უცხოელი ჟურნალისტებისათვის 21 აპრილს გამართული პრესკონფერენცია, რამაც დასაბამი მისცა უცხოეთის ინფორმაციის საშუალებათა ობიექტურ ინფორმირებას თბილისის მოვლენათა შესახებ.

კომისიის მიერ უცხოეთის პრესის დეტალურმა შესწავლამ დაგვანახვა, რომ საბოლოო ანგარიშში იგი ბევრად უფრო მიუკერძოებლად აშუქებდა თბილისის ტრაგედიას, ვიდრე საკავშირო პრესა.

თბილისის მოვლენებმა გვიჩვენა, რომ საჯაროობის დღევანდელი მექანიზმი უვარგისია ექსტრემალური სიტუაციების დროს. ამგვარ პირობებში ჯერ კიდევ ძალაშია პრესაზე და ინფორმაციის სხვა საშუალებებზე ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვისა და პარტიული დიქტატის მეთოდები. ამასთან დაკავშირებით კომისიას აუცილებლად მიაჩნია დაჩქარდეს პრესის შესახებ კანონის მიღება, რომელიც თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მტკიცე სამართლებრივ გარანტიას შეუქმნის პრესას.

კომისია საჭიროდ თვლის საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა განიხილოს პრესის საკითხი 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით და იმსჯელოს იმ ჟურნალისტთა პასუხისმგებლობაზე, რომელთა ბრალია 9 აპრილის ტრაგედიის გაყალბება.

V

საზოგადოებრივი აზრი 9 აპრილის მოვლენების მიმართ

თბილისის მოსახლეობის სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევის შედეგად, რომელშიც ათი ათასამდე რესპონდენტი და 15 ექსპერტი მონაწილეობდა, გამოვლინდა:

გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის პირობებში რესპუბლიკის პარტიულმა და მთავრობის ხელმძღვანელობამ ვერ გამონახა საზოგადოების მართვის ახალი ფორმები და ადმინისტრაციული მეთოდებითა და ძალის პოლიტიკით სცადა მის წინაშე დასმული პრობლემების გადაწყვეტა. მწვავე ეროვნული პრობლემების ხელმძღვანელობის მცდარ პოზიციას განსაკუთრებით მკვეთრად დაუპირისპირდნენ ეგრეთ წოდებული არაფორმალური ჯგუფების ლიდერები. პარტიის ხელმძღვანელებისა და არაფორმალების პოზიციათა შეუთავსებლობის გამო მალე მათ შორის გაძნელდა დიალოგი და ყოველგვარი ურთიერთობა. ხალხი სულ უფრო შორდებოდა ხელმძღვანელობის ორიენტაციას და უახლოვდებოდა არაფორმალური ჯგუფების პოზიციას. ხალხის სამართლიანი მოთხოვნების უგულვებელყოფას მოჰყვა მიტინგები და სამოქალაქო პროტესტის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმა — შიმშილობა. საბოლოოდ ხელისუფლებისათვის საზოგადოებრივი პროცესები უმართავი გახდა და დახმარებისათვის უმაღლეს საკავშირო ორგანოებს მიმართა.

მიტინგის სისხლიანი დარბევა, ცხადია, ვერ მოხსნიდა იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრასაც მოითხოვდა საზოგადოება. პირიქით, როგორც სოციოლოგიურმა გამოკვლევამ ნათელყო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკაში კიდევ უფრო გამწვავდა. მიღებული მონაცემების ანალიზი კომისიას საფუძველს აძლევს დაასკვნას:

1. საქართველოს რეალური დამოუკიდებლობის იდეას მხარს უჭერს გამოკითხულთა 89 პროცენტი. ეს მონაცემები გამოხატავს ჩვენი ქვეყნის მომავალი სტატუსის შესახებ საზოგადოების ცნობიერების მთავარ მიმართულებას.

2. 9 აპრილის აქციამ ხალხის განწყობილებაში თავისებური ცვლილებები შეიტანა. უპირველეს ყოვლისა, მკვეთრად გაიზარდა უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკის ხელმძღვანელობისადმი და დადებითი — არაფორმალებისადმი. გამოკითხულთა 71 პროცენტი გამოხატავს უარყოფით დამოკიდებულებას ჩვენი ყოფილი მთავრობისა და ხელმძღვანელობის მიმართ, ვინაიდან, მათი აზრით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ ემსახურებოდა თავის ხალხს. და პირიქით, გამოკითხულთა 79 პროცენტს მიაჩნია, რომ არაფორმალური ჯგუფები ეროვნულ ინტერესებს გამოხატავენ.

3. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ხალხის უარყოფითი დამოკიდებულება რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიმართ სამხედრო ძალებზედაც გავრცელდა. გამოკითხულთა 82 პროცენტის აზრით, საბჭოთა არმია არ ემსახურება თავისი ხალხის ინტერესებს.

4. გამოკითხულთა 87 პროცენტი ობიექტურ გამოძიებასა და დამნაშავეთა დასჯას მოითხოვს; შედარებით ნაკლებად არის გავრცელებული რწმენა იმისა, რომ ყველა დამნაშავე სამართლიანად დაისჯება. კერძოდ, 62 პროცენტს სჯერა, რომ დამნაშავეები დაისჯებიან, 34 პროცენტს ეჭვი ეპარება ამაში. ეს, ცხადია, ხელს უშლის მდგომარეობის ნორმალიზაციას.

9 აპრილის მოვლენები ხალხის ცნობიერებაში დაკავშირებულია ცენტრალურ და ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან, რუს ხალხთან, დემოკრატიზაციისა და კონსტიტუციის დაცვის იდეებთან. საზოგადოებრივი აზრი ამ მოვლენების შეფასებაში შემდეგნაირად დაჯგუფდა: გამოკითხულთა 87 პროცენტი თვლის, რომ აღნიშნული მიტინგი ანტირუსული არ იყო. 80 პროცენტის აზრით მიტინგი არ იყო ანტიკონსტიტუციური. გამოკითხულთა 80 პროცენტი აღნიშნავს, რომ მიტინგებზე წამოყენებული იყო მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეროვნული და სოციალური პრობლემები.

მიტინგის ბარბაროსული დარბევა მკვეთრ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ამ აქციის მომწყობთა მიმართ. ასეთ ინსტანციად ხალხმა ცენტრალური ხელისუფლება, საქართველოს ხელისუფლება და არმია ჩათვალა.

თბილისში შეიარაღებული ძალების შემოყვანა, გამოკითხულთა აზრით, გამოწვეული იყო: ცენტრალური და რესპუბლიკური ხელისუფლების პოზიციით — 65 პროცენტი, სამხედრო ხელისუფალთა პოზიციით — 53 პროცენტი და საქართველოს ხელისუფალთა და არაფორმალთა პოზიციის შეურიგებლობით — 34 პროცენტი.

გაირკვა ისიც, რომ 9 აპრილს მომხდარი ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა, გამოკითხულთა აზრით, უნდა დაეკისროს იმავე ინსტანციებს: პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობა დაადანაშაულა 81 პროცენტმა, სამხედრო ხელისუფალნი — 71-მა, ხოლო საქართველოს ხელმძღვანელობა — 55 პროცენტმა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ დამოკიდებულებათა სისტემური გადანაწილების კანონის საფუძველზე 9 აპრილის აქციამ საქართველოს ხელმძღვანელობის მიმართ არსებული უარყოფითი დამოკიდებულება გაავრცელა საკავშირო ხელისუფლებისა და სამხედრო ძალების მიმართ, გაძლიერდა დადებითი დამოკიდებულება არაფორმალური ჯგუფებისადმი და იგი არ შეეხო რუს ხალხსა და კონსტიტუციურ პრინციპებს. ქართველი ხალხის ეროვნულმა მოძრაობამ არ მიიღო ანტირუსული და ანტიკონსტიტუციური ხასიათი.

5. ჩვენი ხალხის მთავარი მიზანი საქართველოს რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების იდეის სახით ჩამოყალიბდა. გამოკითხულთა 89 პროცენტის აზრით, საქართველო სამართლიანობის პრინციპზე აგებული, დამოუკიდებელი და დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა გახდეს. ამ მიზნებს სავსებით შეესაბამება ქართველი ხალხის დადებითი დამოკიდებულება დემოკრატიზაციის, საჯაროობისა და გარდაქმნის მიმართ, რომელთაც მიემხრო გამოკითხულთა 79 პროცენტი. 9 აპრილის წინ გამართული მიტინგები ხალხმა გარდაქმნის პროცესების გამოვლინებად ჩათვალა.

6. ბევრი პრობლემა, რომლებმაც გამოიწვია აპრილის ტრაგედია, ჯერ კიდევ გადაუჭრელი დარჩა. გადაუჭრელი პრობლემები, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები თვითონ იწვევენ საზოგადოებრივი აქტიურობის იმპულსებს, მიტინგებისა და დემონსტრაციების გამართვის მოთხოვნილებას. ვიდრე ჩვენი საზოგადოება და ხელისუფლება ერთობლივად არ ჩამოაყალიბებს მოქმედების მიზანდასახულ პროგრამას, ძნელია სტიქიური მოძრაობების თავიდან აცილება. საჭიროა ეროვნული სამოქმედო პროგრამის შემუშავება, რომლის გარშემოც მოხდება საზოგადოებრივ ძალთა კონსოლიდაცია.

VI

9 აპრილის გარემოებათა ზოგადპოლიტიკური შეფასება

9 აპრილის ტრაგედიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მოვლენათა შორის, რომლებიც აფერხებენ საზოგადოების გარდაქმნასა და დემოკრატიზაციას და მიგვყავართ ძალადობისა და დანაშაულისაკენ. ამ ტრაგედიის საფუძვლიანი შესწავლა და ანალიზი საშუალებას აძლევს კომისიას გამოიტანოს შემდეგი ზოგადპოლიტიკური დასკვნები:

1. ქ. თბილისში 9 აპრილს ჩადენილი უმძიმესი დანაშაულის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ კონსტიტუციამ ვერ შეასრულა თვითნებობისაგან პიროვნების და საზოგადოების დაცვის გარანტის როლი. მოვლენების განვითარების ყველა ეტაპზე, როგორც რესპუბლიკურმა, ისე საკავშირო პარტიულმა და ხელისუფლების უმაღლესმა ორგანოებმა უგულვებელყვეს მოქმედი სამართალი. იგი შეცვლილი იყო ე. წ. „სატელეფონო სამართლით". 9 აპრილის მოვლენების ანალიზი გვარწმუნებს, რომ არათუ კანონის უზენაესობაზე, არამედ სოციალისტური კანონიერების ელემენტარული მოთხოვნების დაცვაზეც კი ძნელია ლაპარაკი იქ, სადაც კანონს უპირისპირდება უმაღლესი პარტიული, ხელისუფლებისა თუ მმართველობის ორგანოები.

საზოგადოებაში კვლავ ძალუმად იგრძნობოდა ბიუროკრატიულ-მბრძანებლობითი აპარატის დიქტატი, რომლის სათავეში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი იდგა. რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სისტემაში რეალურად არ მოიპოვებოდა ძალა, რომელსაც შეეძლო წინ აღდგომოდა მას. მისი ძალაუფლება ძირითადად უზრუნველყოფილია იმ მორჩილებით, რომელსაც იგი იჩენდა საბჭოთა კავშირის ცენტრალური პარტიული ხელისუფლების მიმართ. ცენტრალური კომიტეტის ბიურო ფაქტობრივად მხოლოდ სათათბირო ორგანო იყო, რომელიც ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნებას ასრულებდა.

რესპუბლიკაში ხელისუფლების უზენაესობის კონსტიტუციური პრინციპი ფიქციაა. ხელისუფლების უმაღლესი ორგანო — უმაღლესი საბჭო თუ მისი პრეზიდიუმი და მმართველობის უმაღლესი ორგანო — მინისტრთა საბჭო ფაქტობრივად პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მორჩილი აპარატია. ის გარემოება, რომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეძახიან ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან, სადაც ვიწრო წრეში წყდება არაფორმალური ორგანიზაციების ლიდერთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხი, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ამ გადაწყვეტილებას იწონებს ე. წ. პარტიული აქტივი, ნათლად მოწმობს, რომ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობაზე მსჯელობა შეუძლებელია. ექსტრემალურ სიტუაციაში რეალურად უფუნქციოდ დარჩა ისეთი ორგანოები, როგორიცაა ქ. თბილისის პარტიული კომიტეტი, პარტიის რაიკომები, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოები, აგრეთვე კომკავშირი და პროფკავშირი. ვერც ერთმა ამ ორგანომ ვერ დაიკავა საკუთარი პოზიცია 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით, რადგან ამ ორგანოს ხელმძღვანელთა თანამდებობაზე ყოფნისა და მისი შენარჩუნების ძირითადი საშუალება ხშირად ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის წინაშე მორჩილების დამტკიცება იყო.

სახელმწიფოს მართვის სამივე ფუნქცია, კერძოდ, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების — რეალურად თავმოყრილი იყო ერთ პიროვნებაში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის სახით. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სახელმწიფოს მართვის ტოტალიტარული რეჟიმისათვის დამახასიათებელი პირამიდა არ დაშლილა. მაგრამ შეიცვალა გარემო. ეს კი ზოგჯერ გადაულახავი წინააღმდეგობრიობის საფუძველია: მართვის სისტემისათვის, რომელიც ძალადობას, ტერორს, სისხლიან დიქტატურას ემყარებოდა, სრულიად უცხო გამოდგა დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობები. ამიტომ ექსტრემალურ სიტუაციაში მან მიმართა მის არსებაში ჩამარხულ მეთოდს — ძალადობას.

რესპუბლიკაში სუსტია იურიდიული სამსახური, დაბალია საზოგადოების მართლშეგნება, რაც ბიუროკრატიულ-დიქტატორული სახელმწიფოს კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

9 აპრილის მსგავსი ტრაგედია შეიძლება გამორიცხოს მხოლოდ სამართლებრივმა სახელმწიფომ, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოში ხელისუფლების დანაწილებას და კანონის უზენაესობას ნიშნავს.

2. 9 აპრილის მოვლენების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ საქართველოსათვის კონსტიტუციით მინიჭებული სუვერენული უფლებები ფიქციაა, რაც ართულებს როგორც ერის სუვერენული უფლებების განხორციელებას, ასევე შიდარესპუბლიკურ ეროვნებათშორის ურთიერთობებს. ცენტრი უნდა არეგულირებდეს მხოლოდ რესპუბლიკათშორის ეროვნულ ურთიერთობებს და არ ერეოდეს რესპუბლიკის შიგნით სპეციფიკური ეროვნებათშორისი ურთიერთობების მოწესრიგებაში.

3. 9 აპრილი, უწინარეს ყოვლისა, ოფიციალური იდეოლოგიის კატასტროფაა. ამის მიზეზი ის არის, რომ იდეოლოგიური მუშაობა რესპუბლიკაში არ გარდაქმნილა. იგი შეესაბამებოდა დიქტატორული რეჟიმის იდეოლოგიას, რომელიც ეყრდნობოდა დიქტატს, აზრის მონოპოლიას და დემაგოგიას.

9 აპრილის ტრაგედიამდე დემოკრატიული და გარდაქმნის პროცესების გავლენით საზოგადოებამ სამართლიანი ეროვნული მოთხოვნები წამოაყენა. საქართველოს ხელისუფლებამ თავისი ძველი სტერეოტიპული აზროვნების გამო ალღო ვერ აუღო ამ პროცესებს და ამ მოთხოვნების მიმართ უარყოფითი, მტრული დამოკიდებულება გამოამჟღავნა. „არაფორმალური" ჯგუფის ლიდერები წინაღუდგნენ ხელისუფლების ამ თვალსაზრისს და მათი პოზიციების მკვეთრი პოლარიზაცია მოხდა. „არაფორმალთა" იდეები, მათი ეროვნულ-დემოკრატიული არსის გამო, სულ უფრო პოპულარული ხდებოდა საზოგადოებაში და ხელისუფლებას მალე „არაფორმალებთან" ერთად ხალხიც დაუპირისპირდა. ხელისუფლებამ ვერ გამონახა მასებზე რეალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური ზემოქმედების ფორმები: მდგომარეობის გამოსწორების შინაგანი საშუალებები (ფსიქოლოგიური, სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური) და პრობლემების გადაჭრა გარეგანი ძალებით სცადა. ამან სისხლიან დასასრულამდე მიგვიყვანა.

კომისიას მიაჩნია, რომ რესპუბლიკაში ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს იდეოლოგიური მუშაობა და რადიკალურად განახლდეს იდეოლოგიური ხელმძღვანელობის მთელი სისტემა.

4. 9 აპრილის ტრაგედიამ ცხადყო, რომ საბჭოთა სინამდვილეში ჯერ კიდევ ძლიერადაა გამჯდარი ტოტალიტარული რეჟიმისათვის ჩვეული აზრი, რომლის მიხედვითაც ანტისაბჭოური მოწოდება ან სიტყვა უფრო დიდ დანაშაულად ითვლება, ვიდრე პიროვნების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა. არსებული რეჟიმის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების იდეოლოგია ფაქტობრივად უგულვებელყოფს კონსტიტუციით აღიარებულ ძირეულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი თავისუფალ რესპუბლიკათა ნებაყოფლობითი კავშირია. ასეთი იდეოლოგიის მიმდევარნი უმძიმეს სახელმწიფოებრივ დანაშაულად თვლიან იმ აზრსაც კი, რომ რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკამ დააყენოს საკითხი კონსტიტუციის სათანადო მუხლის გამოყენებით სსრ კავშირის ფარგლებიდან გასვლის შესახებ. სწორედ ამის დასაბუთებაა ის მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც განხორციელდა თბილისში მშვიდობიანი მიტინგის წინააღმდეგ კონსტიტუციური მოთხოვნისა და რამდენიმე რადიკალური ლოზუნგის წამოყენებისათვის.

5. თანამედროვე ეტაპზე ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ არის გადაჯაჭვული სოციალურ მოთხოვნებთან და, საერთოდ, სამართლიანობისათვის ბრძოლასთან. კერძოდ, იგი მკვეთრად უპირისპირდება მთელ ქვეყანაში ასე ფართოდ გავრცელებულ ბიუროკრატიზმს, კარიერიზმს, მექრთამეობას და სხვა სახის კორუფციას. ამიტომ ბრძოლა ეროვნულ მოძრაობასთან კარიერისტებისა და კორუფცირებული ელემენტების მხრივ ამავე დროს არის ბრძოლა უკანონო შეღავათებისა და უპირატესობების და უშრომელი შემოსავლის შენარჩუნებისათვის. ამ ბრძოლის საფუძველი არის შიშიც, რომელიც კორუფცირებული ელემენტის მუდმივი თანამგზავრია და რომელიც აიძულებს მას უკანონო სურვილებიც კი შეუსრულოს ყველას, ვისზეც მისი ბედი ფაქტობრივად არის დამოკიდებული. ცხადია, ამავე მიზეზით იგი მოკლებულია უნარს დაიცვას თავისი ერის ინტერესები ზემდგომი ცენტრალური ინსტანციების წინაშე.

ამგვარად, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობა, გარდაქმნა, დემოკრატიზაცია და ეროვნული მისწრაფებების ხორცშესხმა წარმოუდგენელია ბიუროკრატიზმთან, კარიერიზმთან და კორუფციასთან წარმატებული ბრძოლის გარეშე.

6. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ერთ-ერთი რეალური გამოხატულებაა მშვიდობიანი მიტინგები და დემონსტრაციები, სადაც ხალხი თავის ნება-სურვილს გამოთქვამს. ამიტომ საჭიროა არა ბრძოლა სახალხო ნების გამოვლინებასთან, არამედ მიტინგების გამართვის სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფა და მათი დაცვა.

7. 9 აპრილის ტრაგედიის ერთ-ერთი უმძიმესი პოლიტიკური შედეგი ის არის, რომ ხალხს მკვეთრად დაუპირისპირდა არმია, რომელიც არაქართველი ჯარისკაცებით იყო დაკომპლექტებული. ამ მოვლენის დაძლევის მიზნით კომისია აყენებს საკითხს რესპუბლიკებში შეიქმნას ეროვნული საჯარისო ფორმირებანი. ამავე დროს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნას შინაგანი ჯარები, რომლებიც დაკომპლექტებული იქნება რესპუბლიკის მოქალაქეებით და მის მოვალეობაში შევა უწესრიგობის აღკვეთა მხოლოდ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

კომისიას აუცილებლად მიაჩნია დაიშალოს ის სამხედრო შენაერთი, რომელმაც განახორციელა თბილისში საბჭოთა არმიისათვის შეუფერებელი ბარბაროსული აქცია.

8. საბოლოოდ კომისია ასკვნის: 9 აპრილს ქ. თბილისში ჩადენილი დანაშაული ერთ-ერთი უმძიმესია საბჭოთა ქვეყნის ისტორიაში. მას დამსჯელი ოპერაციის ხასიათი აქვს, წარმოადგენს უდანაშაულო ადამიანთა წინასწარ ორგანიზებულ მასობრივ ხოცვა-ჟლეტას, ჩადენილს განსაკუთრებული სისასტიკით და აკრძალული ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. იგი შეიცავს საერთაშორისო დანაშაულს, კერძოდ, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ნიშნებს. კომისიამ ძირითადად გამოავლინა რესპუბლიკაში ყველა კონკრეტული დამნაშავე; ამავე დროს პასუხისმგებლობა ამ აქციისათვის ვერ გადაწყდება მხოლოდ რესპუბლიკის დონეზე, რადგან მას ცენტრალური ხელისუფლების თანამდებობის პირებიც იზიარებენ. კომისიას აუცილებლად მიაჩნია ყველა ამ თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობა. თუკი ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, მაშინ თბილისის ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა დააწვება სსრ კავშირის უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას მთლიანად.

თამაზ შავგულიძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევი კომისიის თავმჯდომარე, პროფესორი.

გიორგი ჯიბლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართულმა მეცნიერებამ, ლიტერატურამ, ხელოვნებამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის ერთი თავკაცთაგანი, სახელოვანი კრიტიკოსი და ხელოვნებათმცოდნე, ცნობილი საზოგადო, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1939 წლიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი ნამდვილი წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მეცნიერი, მშობლიური კულტურით შთაგონებული მკვლევარი, მაღალი ზნეობის მოქალაქე და კეთილშობილური ბუნების ადამიანი.

გიორგი ჯიბლაძე ცნობილი იყო როგორც მრავალმხრივი მკვლევარი — ლიტერატურისა და ხელოვნების თეორეტიკოსი, ისტორიკოსი და კრიტიკოსი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი, პედაგოგიკური აზრის ისტორიკოსი და მეცნიერების გამოცდილი ორგანიზატორი.

გიორგი ჯიბლაძემ შრომითი საქმიანობა ადრეულ სიჭაბუკეშივე დაიწყო. 1933 წელს, 20 წლისამ, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 1931-1941 წლებში მუშაობდა გაზეთების „წითელი არმიელის", „ახალგაზრდა კომუნისტის", „კომუნისტის" რედაქციებში. 1934 წელს გამოვიდა ახალგაზრდა ლიტერატორის პირველი წიგნი — „ლიტერატურის საკითხები". გიორგი ჯიბლაძის შემოქმედებით ნაყოფიერებაზე ნათლად მეტყველებს მისი ვრცელი მემკვიდრეობა — 500 ნაშრომი და 57 ცალკე გამოცემული წიგნი.

1944 წელს მას ირჩევენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად, 1955 წელს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1960 წელს — აკადემიკოსად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 1958 წელს იგი აირჩიეს სსრ კავშირის პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად და ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრად.

წლების მანძილზე გიორგი ჯიბლაძე მუშაობდა ხელმძღვანელ პარტიულ და სახელმწიფო თანამდებობებზე. იგი იყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგე, ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს განათლების მინისტრი, საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი. 1980 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. 1988 წლიდან მუშაობდა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩევლად.

გიორგი ჯიბლაძის შრომებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვეს არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებშიც. მისი მონოგრაფიებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „რუსთაველის ესთეტიკური სამყარო", ფუნდამენტური გამოკვლევები „ილია ჭავჭავაძე", „ბარათაშვილის პოეტური გენია", „ვაჟა-ფშაველა", „შოლოხოვის ეპოსი", „რუსოიზმის არსი", „ავიცენას სისტემები", „კრიტიკული ეტიუდების" ცხრა ტომი. საერთაშორისო აღიარება ჰპოვა მკვლევარის მონოგრაფიებმა: „ესთეტიკური აღზრდის პრინციპები". პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულმა მონოგრაფიამ „ქართულის, როგორც არამშობლიური ენის შესწავლის შესახებ" და მონოგრაფიამ „კომენსკის ფილოსოფია", რომელიც ჩეხოსლოვაკიის მაღალი სახელმწიფო ჯილდოთი — კომენსკის სახელობის ოქროს მედლით აღინიშნა. მას აგრეთვე მინიჭებული ჰქონდა კრუპსკაიას სახელობის მედალი.

განსაკუთრებით დიდია გიორგი ჯიბლაძის დამსახურება ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე. მან [illegible] ნაშრომები [illegible] გრ. ორბელიანის, დ. გურამიშვილის, გ. ერისთავის, [illegible] და არაერთი სხვა ქართველი კლასიკოსის შემოქმედებას.

მრავალი წერილი მიუძღვნა მკვლევარმა რუსულ და მოძმე ხალხთა ლიტერატურების კორიფეებს და ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემებს, განსაკუთრებით ქართული და რუსული ლიტერატურების ურთიერთზემოქმედებისა და ურთიერთგამდიდრების პროცესებს.

გიორგი ჯიბლაძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ესთეტიკური აზრისა და პედაგოგიური მეცნიერების განვითარებაში. მისი პრობლემური გამოკვლევები — „პრობლემა ბუნებისა და ხელოვნების მშვენიერებისა", „ხელოვნება და სინამდვილე", „ესთეტიკური თეორიის საკითხები", „ფროიდიზმის ანალიტიკური ესთეტიკის კრიტიკისათვის" ფართოდაა ცნობილი არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი იყო გიორგი ჯიბლაძის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა ორი კათედრა, რომელთა პირველი გამგეც თვითონ იყო; ჟურნალისტიკისა (1952-1956 წლებში) და ესთეტიკისა (1966-1969 წლებში). გიორგი ჯიბლაძის ხელმძღვანელობით მომზადდა სამ ათეულზე მეტი სადოქტორო და ორ ათეულზე მეტი საკანდიდატო დისერტაცია. გიორგი ჯიბლაძის მოწაფეთა შორის არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები, აკადემიის წევრ-კორესპონდენტები და ფილოლოგიის მეცნიერებათა მრავალი დოქტორი.

გიორგი ჯიბლაძე მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად და წევრობის კანდიდატად, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის წევრად. დაჯილდოებული იყო ორი ლენინის, ოქტომბრის რევოლუციის, შრომის სამი წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის" ორდენებით და მრავალი მედლით.

გიორგი ჯიბლაძის — გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერის, ჩინებული პედაგოგისა და დაუღალავი საზოგადო მოღვაწის ნათელი სახელი სამუდამოდ დარჩება ქართული კულტურისა და მეცნიერების მატიანეში.

გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ჭითანავა, ო. ე. ჩერქეზია, გ. ა. იაგოდინი, გ. ნ. ენუქიძე, გ. დ. მახარაშვილი, ა. ი. პავშენცევი, ვ. გ. ლორთქიფანიძე, ა. ნ. თავხელიძე, ვ. დ. შადრიკოვი, გ. გ. აბაშიძე, ი. ვ. აბაშიძე, ნ. ს. ამაღლობელი, ა. მ. აფაქიძე, ი. ლ. ანდრიაძე, მ. ვ. ბერიძე, ხ. მ. ბერულავა, ლ. კ. გაბუნია, ე. პ. გამყრელიძე, გ. გ. გველესიანი, ნ. შ. ვახაძე, მ. მ. ზაალიშვილი, ნ. ი. ლალიძე, ჯ. გ. ლომინაძე, დ. ლ. ლორთქიფანიძე, გ. ვ. მაჭავარიანი, მ. ი. მაჭავარიანი, გ. ა. მელიქიშვილი, რ. ვ. მეტრეველი, თ. ნ. ონიანი, გ. ა. სანაძე, ე. ა. სეხნიაშვილი, ი. ვ. ფრანგიშვილი, მ. ვ. ხვინგია, გ. შ. ციციშვილი, გ. გ. ჩოგოვაძე.

ამაგდარი

...რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ჭარბი პრაქტიციზმით, პრაგმატიზმით, ეგოიზმით დამძიმებულ ჩვენს საუკუნეში, ჩვენსავე შორის არ მოიძებნებოდნენ ადამიანები, ვისაც ჯერ კიდევ შერჩენიათ უნარი, გიწილადონ გულის სითბო, გითანაგრძნონ ჭირში, გაიხარონ შენი წარმატებით და გაჭირვებისას ხელი მეგობრულად გამოგიწოდონ; ადამიანები, ვისთვისაც უცხო არ არის არც რომანტიკული განწყობილება, არც სიხარულისა თუ სიმძიმილის დაუფარავი განცდა, არც სხვისადმი ნდობის უნარი და არც პიროვნული თავისთავადობა.

გიორგი ჯიბლაძე ასეთი ადამიანი გახლდათ.

მუდამ საქმეში ჩაფლულს, უამრავ მოვალეობათა და ვალდებულებათაგან მოუცლელს, ათასი ჩანაფიქრით დატვირთულს, მას არასოდეს არ დაუკარგავს კაცურ-კაცის აუცილებელი ნიშანთვისება — ადამიანებთან გულწრფელი, მიმნდობი, უშუალო ურთიერთობისა.

მისი აქტიური, მოქმედი, ქართულად ფიცხი ხასიათი მშვენივრად ესადაგებოდა გულდინჯი განსჯის უნარსაც, ინტელიგენტურ ტაქტიანობასაც და მოყვასისადმი სათნო დამოკიდებულებასაც.

საქვეყნო საქმისადმი ერთგულება (რასაც სხვისგანაც მოითხოვდა), მოვალეობის მაღალი გრძნობა (რასაც ესოდენ აფასებდა), მტკიცე ცხოვრებისეული პრინციპები (რაც ყოველი პიროვნების აუცილებელ თვისებად მიაჩნდა), გულწრფელობა და უშუალობა (რასაც სხვებშიც ეძიებდა) — მას კოლორიტულ და მიმზიდველ ფიგურად ხდიდა.

მაგრამ მთავარი, რაც ამ მოღვაწეს მოსდგამდა, რითაც იგი განსაკუთრებით გამოირჩეოდა და სახელი გაითქვა, ეს მისი მაღალი ნიჭიერება და მდიდარი შემოქმედებითი უნარი იყო.

დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, ბატონი გიორგი ჩვენს შორის აღარ არის. დიდად ნამუშაკები, დიდად გარჯილ-ნაამაგდარი წავიდა იგი ჩვენგან... მაგრამ არა სამომავლო განზრახვათა და მიზანთაგან დაცლილი, არა შემოქმედებითად გამოფიტული, არამედ ავსავსე არაერთი ახალი ჩანაფიქრით, სურვილით და აუსრულებელი წადილით.

გიორგი ჯიბლაძემ სხვაზე მეტად იწვნია ჩვენი უწყალო საუკუნის მძიმე ტვირთი, მაგრამ იგი თავისი შინაგანი მოწესრიგებულობის წყალობით მაინც პოულობდა დროს მეჯახეობისთვისაც და მოქალაქეობრივ-პიროვნული ვალდებულებებისთვისაც. დღეს, როცა ადამიანთა უმრავლესობას, უპირატესად, ორ ძირითად გარემოში უხდება ყოფნა — ოჯახურსა და სამსახურებრივში, ორივე ეს გარემო სიცოცხლისათვის გადამწყვეტი ხდება, გიორგი ჯიბლაძე ამ ორივე მხრივ ბედნიერი კაცი იყო, ორივესაგან სითბო, სიყვარული და სიმყუდროვე არ მოჰკლებია. მართალია, მან ბევრზე-ბევრი გაჭირვება იწვნია, ბევრი მწუხარებაც განიცადა და ბევრი ტკივილიც იგრძნო, მაგრამ გულის სითბო დაკარგა და ბოლომდე ნირშეუცვლელი დარჩა.

სიცოცხლის უკანასკნელი ათეული წელი გიორგი ჯიბლაძემ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გაატარა, რომლის ერთი წარჩინებული წევრიც თვითონ გახლდათ. აკადემიის მრავალრიცხოვან კოლექტივში იგი გულწრფელი პატივისცემითა და მაღალი ავტორიტეტით სარგებლობდა. შემოქმედებითი მუშაობისთვისაც (როგორც თვითონ ამბობდა) უწინდელზე უკეთესი პირობები ჰქონდა და ყოველი ჩვენგანი მისგან ახალ შემოქმედებით წარმატებებს მოელოდა. მაგრამ ბატონი გიორგის ნაჯაფარმა, დაძაბული შრომით დაღლილმა სხეულმა ვეღარ გაუძლო მძიმე სენს, და დღეს, გულდამწუხრებულნი სამუდამოდ ვემშვიდობებით ამაგდარ მოღვაწეს, რომლის წიგნები თუ წერილები კიდევ არაერთხელ გაგვახსენებს მის ნაღვაწსა და ნამოქმედარს და მისი სახელიც მარად დარჩება ქართული კულტურის მატიანეში.

ანდრია აფაქიძე,
როინ მეტრეველი,
გიორგი ციციშვილი.

დაუღალავი შრომის სამაგალითო განსახიერება

წავიდა ჩვენგან აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე.

ჯერ კიდევ ქუთაისში, იმ შორეულ ოცდაათიან წლებში, იგი საოცრად მისწრაფებული და ენერგიული ახალგაზრდა იყო. თბილისიდან ჩასულები მას მხოლოდ სამსახურში, გაზეთ „ინდუსტრიული ქუთაისის" რედაქციაში თუ შევხვდებოდით. განათლებას დაწაფებული, სამსახურიდან დაუყოვნებლივ შინ მიიჩქაროდა.

ორმოციანი წლებიდან კი იგი თბილისში რედაქციებსა თუ სალიტერატურო, სამეცნიერო დაწესებულებებში თავაუღებლად შრომობდა. სწავლობდა და ასწავლიდა, აწრთობდა და იწრთობოდა. გიორგი ჯიბლაძე დაუღალავი შრომის სამაგალითო განსახიერება იყო; გადახედეთ მის შემოქმედებას, მის შემოქმედებით ნაყოფიერებას — სამწუხაროდ ბევრ ქართველ კაცს არ ახასიათებს შრომისადმი ასეთი სიყვარული და გულმოდგინება. ნიჭთან ერთად სწორედ დაუღალავმა შრომამ ჩააყენა იგი ქართველ მეცნიერთა მოწინავე რიგებში, მიიყვანა იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობაში, ერთ დროს კი რესპუბლიკის უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობაშიც.

ყველა ჩვენგანმა მწვავედ განიცადა ამ ბოლო წლებში მისი ოჯახის სავსებით მოულოდნელი ტრაგედია, რამაც მასზე, რასაკვირველია, საბედისწეროდ იმოქმედა. და მაინც, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე საქმისადმი ერთგულებით, შრომისადმი სიყვარულით სუნთქავდა.

წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი მწერალი და მეცნიერი.

ირაკლი აბაშიძე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და ენისა და ლიტერატურის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 78 წლისა გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-დამფუძნებელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

გიორგი ნიკოლოზის ძე ჯიბლაძე

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ცნობა

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცალკეულ საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის შესახებ

1989 წლის 13-15 სექტემბერს გაიმართა დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაცია საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ცალკეულ საარჩევნო ოლქებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად რეგისტრირებული არიან:

ქალაქ თბილისის პირველი მაისის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის საარჩევნო ოლქში:

თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრის დირექტორი;

რომან რაჟდენის ძე **გოცირიძე** — თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი;

კახა დავითის ძე **ქორიძე** — საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისის საარჩევნო ოლქში:

ამირან შოთას ძე **მაისურაძე** — მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მეექსკავატორე;

მურად იახია ოღლი **მამედოვი** — ქვემო ბოლნისის № 1 საშუალო სკოლის პედაგოგი;

ნიაზ ყურბან ოღლი **მირზაევი** — დარბაზის მეკარტოფილეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი;

ვალმირა ორუჯ ყიზი **იაკუბოვა** — რატევანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქში:

ნიკოლოზ ზურაბის ძე **ჭავჭავაძე** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი.

რედაქტორის მოადგილე
მ. უზრეხელიძე.

ტელევიზია — ხუთშაბათი, 28 სექტემბერი

თბილისი

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 ათლეტიზმი. 15.50 — საინფორმაციო გამოშვება. 16.00 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". მხატვრული ფილმი „ამიგო ერნესტო". 17.20 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სახალხო არტისტი". 18.05 — მოსწავლეთათვის. დუშეთის რაიონის ბავშვთა თვითმოქმედება. 18.30 — განცხადებები. 18.35 — სახალხო კონტროლის ეკრანი. 19.20 — ქართული ლიტერატურის ისტორია (გადაცემა III). 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.30 — ხელოვანი და დრო. შეხვედრა კინორეჟისორ რევაზ თაბუკაშვილთან. 21.35 — მღერის ანსამბლი „ორიონი". 22.00 — „ვრემია". 22.40 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". V სერია. 23.45 — სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში. ტალინის „კალევი" — თბილისის „დინამო".

მეორე პროგრამა. 16.05 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". III სერია. 17.15 — დოკუმენტური ფილმი „ქალიშვილებსა და ნეშკეზე". 18.40 — მხატვრული ფილმი „მოკლე სახელო". 19.45 — მულტიპლიკაციური ფილმი. 20.00 — მოამბე. 20.30 — მხატვრული ფილმი „მალაყი".

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 7.30 — „120 წუთი". 9.35 — დოკუმენტური ფილმი. 9.55 — მღერიან ვატრივჩანები, გადაცემა ლვოვიდან. 10.20 — მულტფილმები. 10.55 — ფეხბურთი. ევროპის თასები. 13.00 — ბავშვის საათი (ინგლისური ენის გაკვეთილითურთ). 14.00 — სპორტული პროგრამა. ფეხბურთი. კრივი. 16.00 — „საყვარელი ლექსები". 16.35 — მოსკოვის ხალხური საკრავების ორკესტრის კონცერტი. 17.00 — დოკუმენტური ტელეფილმები. 17.55 — „რას უმღერიან დედამიწელები". „ოქროს ჭიშკარი" (ჩეხოსლოვაკია). 18.40 — მულტფილმები. 19.15 — ადგილობრივი საბჭოები და რეგიონალური სამეურნეო ანგარიში. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — „...თექვსმეტ წლამდე და უფროსი ასაკისა". 20.45 — „ლურჯი კონვერტი", პროგრამის „როცა ჯარისკაცები მღერიან" წერილების მიხედვით. 22.00 — „ვრემია". 22.40 — აქტუალური ინტერვიუ. 22.50 — მხატვრული ფილმი „სარკე გმირისათვის". I და II სერია. 1.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 7.00 — დილის ვარჯიში. 9.15; 10.25 და 12.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმები. 9.35 და 10.35 — ბუნებისმეტყველება. V კლასი. 9.55 და 11.05 — ესპანური ენა. 11.35 და 12.40 — ფიზიკა. VIII კლასი. 12.05; 14.00 და 18.00 — ახალი ამბები. 13.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 13.30 — ფილმ-კონცერტი. 18.10 — კრივი. 19.30 — ფრენბურთი. ვაჟები. რუმინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. 20.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს სესია. შესვენებისას — 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!".

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 07204 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14